პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წლის ვადით მეთოთხმეტე

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და თბ. კომიტეტის და საქ. ცაკ-ის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—18, სამდივნო—10—58, მთ. კანტორის—5—31

ოთხშაბათი
14
მარტი
1934 წ.
№ 61 (3917)

## დღევანდელ ნომერში

— საკავშირო სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის დადგენილება მექანაფეობის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.
— შმიდტის ბანაკში მდგომარეობა უცვლელია.
— „ევრი" არქტიკაში საბჭოთა კავშირის მიღწევების შესახებ.
— საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა მოწვეულია 25 ივნისისათვის.
— საბჭოთა პავილიონის განსაკუთრებული წარმატება ლიონის ბაზრობაზე.
— საფრანგეთის სოციალისტი მუშების სწრაფვა კომპარტიასთან მთლიანი ფრონტის შექმნისათვის.
— ინგლისის სამზადისი მზადება წყნარ - ოკეანეზე
— ესპანეთი სამოქალაქო ომის წინ.

# რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს

## ყველა საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს

### სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებს, რესპუბლიკათა ჯან ახკომებს და განსახკომებს

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივი კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლას და კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა საყოფაცხოვრებო მომსახურებას თესვის პერიოდში მინდვრად, ბანაკად.

საქ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტი წინადადებას იძლევა:

**1** წარიმართოს სოფლის მთელი პოლიტსაგანმანათლებლო ქსელის (სამკითხველოების, კლუბების, კუთხეების და სხ.) მუშაობა ამხ. სტალინის მიერ XVII პარტყრილობაზე გაკეთებულ მოხსენების, XVII ყრილობის გადაწყვეტილებების, აგრეთვე ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების VII ყრილობის გადაწყვეტილებების და ამ გადაწყვეტილებათაგან თესვის კამპანიის დარგში გამომდინარე კონკრეტული ამოცანების პროპაგანდისა და ახსნა-განმარტებისაკენ.

გადატანილ იქნას პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა მინდვრად, საკოლმეურნეო ბრიგადასა და ერთპიროვნულ მეურნეთა ჯგუფში, რისთვისაც მოეწყოს წამკითხავების, მოსაუბრეების, პროპაგანდისტების და კულტორგანიზატორების კადრები, მოეწყოს სამინდვრე ბანაკებში მოძრავი წითელი კუთხეები, კულტფურგონები, მინდვრის კედლის გაზეთები და სხვ.

**2** კულტურის და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებებმა დროიანად უზრუნველყონ ყველა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულების მომარაგება ლიტერატურით XVII პარტყრილობის, ა.-კ. პარტორგანიზაციების VII ყრილობის, თესვის კამპანიის და აგრო-ზოოტექნიკის შესახებ.

**3** განსახკომებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა მოაწყონ სკოლების და ტექნიკუმების აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს მასობრივი კულტმუშაობის და აგრო-ტექნიკურ პროპაგანდის დაყენებაში. სკოლებმა და ტექნიკუმებმა, თავისი სასწავლო გეგმების თანახმად, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს უნდა აღმოუჩინონ პრაქტიკული საწარმოო დახმარება. მიწსახკომებმა და რაიკომებმა სკოლებს და ტექნიკუმებს გადასცენ მიწის ნაკვეთები იქ სკოლების სანიმუშო დამხმარე მეურნეობათა შესაქმნელად რაიონის მთავარი კულტურების დარგში.

**4** ჯანსახკომებმა და განსახკომებმა სამინდვრე სამუშაოთა პერიოდისათვის გააფართოვონ სკოლამდე ასაკის დაწესებულებათა ქსელი (საბავშვომოედნები, საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები და სხვ.) როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ისე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოსახლეობის სახსრების მოზიდვის გზით.

**5** განსახკომებმა და კინო-ორგანიზაციებმა შეარჩიონ სოფლისათვის პოლიტიკური, აგრო-ზოოტექნიკური და მხატვრული ფილმების სპეციალური ფონდები და გაადიდონ სოფლისათვის მომსახურების გამწევი მოძრავი კინოების რიცხვი ქალაქიდან გადაგზავნის გზით. 1-ლი აპრილისათვის მოამარაგონ მოძრავი კინოთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების თვითეული პოლიტგანყოფილება.

**6** რადიოფიკაციის და რადიოგადაცემის კომიტეტებმა 1 აპრილისათვის მთლიანად აღადგინონ რადიოდანადგართა ქსელი სოფლად, მოაწყონ 500 რადიოდანადგარი სამინდვრე ბანაკებში და უზრუნველყონ ისინი პოლიტიკური, აგროზოოტექნიკური და მხატვრულად გამართული რადიოგადაცემით.

**7** განსახკომებმა, ხელოვნების მუშაკთა კავშირთან და მწერალთა კავშირთან ერთად, მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მხატვრული მომსახურება, ქალაქიდან რაიონებში მოძრავი თეატრების, სალიტერატურო-სამხატვრო და სათეატრო ბრიგადების გაგზავნის გზით.

**8** საზოგადოებათა (სოფელთა პროფსაბჭოებს და საშეფო დაევალოთ რესპუბლიკათან ქალაქის დაკავშირების საზოგადოება) ცენტრალურ საბჭოებს გაგზავნონ სოფელში ნაცადი პარტიულებისა და კომკავშირელებისაგან შემდგარ პროპაგანდისტთა ბრიგადები XVII პარტყრილობის და ა.-კ. ორგანიზაციათა VII ყრილობის გადაწყვეტილებათა გარშემო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად, აგრო-ტექპროპაგანდის ორგანიზატორები და ლექტორები.

**9** ჯანსახკომებმა მოაწყონ კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა სამედიცინო მომსახურება სასოფლო-სამეურნეო კამპანიების პერიოდში, რისთვისაც უზრუნველყონ საკოლმეურნეო ბრიგადები პატარა სამინდვრე აფთიაქებით, შექმნან სამინდვრე მედბრიგადები. მოაწყონ სამედიცინო მუშაკთა ბრიგადების გაგზავნა ქალაქიდან რაიონებში და იქ აუცილებელი მედიკამენტების, კერძოდ ქინაქინის შეტანა.

თავის დროზე მიიღონ პროფილაქტიკური ზომები მალარიის კერების მოსასპობად.

**10** პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა უშუალო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიონ მთელ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია**

# ახალი დანიშვნები

## დადგენილება

### ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. იანსონის ს.ს.რ. კავშირის წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: დაკმაყოფილებულ იქნას ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე იანსონის თხოვნა მისი ს.ს.რ. კავშირის წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ს.ს.რ. კავშირის ცაკის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის ცაკის მდივანი
ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
1934 წ. 13 მარტი.

## დადგენილება

### ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა ს.ს.რ. კავშირის წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისრად ამხ. ნ. ი. პახომოვის დანიშვნის შესახებ

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: დაინიშნოს ს.ს.რ. კავშირის წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისრად ამხ. ნიკოლოზ ივანეს-ძე პახომოვი.

ს.ს.რ. კავშირის ცაკის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის ცაკის მდივანი
ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
1934 წ. 13 მარტი.

## დადგენილება

### ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა ს.ს.რ. კავშირის წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოადგილეებად ამხ. ნ. მ. იანსონის და ამხ. ვ. ვ. ფომინის დამტკიცების შესახებ

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: დამტკიცებულ იქნან ს. ს. რ. კავშირის წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოადგილეებად ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე იანსონი — საზღვაო ნაწილში და ამხ. ვასილი ვასილის-ძე ფომინი — სამდინარო ნაწილში.

ს.ს.რ. კავშირის ცაკის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის ცაკის მდივანი
ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
1934 წ. 13 მარტი.

# ძლიერდება რევოლუციური განწყობილება საფრანგეთის მუშათა კლასში

### სოციალისტი მუშები მხარს უჭერენ ერთიან ფრონტს

**პარიზი**, 11 მარტი. „ლიუმანიტე" ბერლიოზის სტატიაში სენის დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციის აქტივისტთა კრების გადაწყვეტილებას კომპარტიასთან ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ აფასებს როგორც იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთს, რომ საფრანგეთის მუშათა კლასში მძლავრად იზრდება რევოლუციური განწყობილებანი და რომ ლოზუნგი „საბჭოები ყველგან" შეიჭრა მშრომელი მოსახლეობის უღრმეს ფენებში.

ამას მოწმობს, — განაგრძობს ბერლიოზი, — აგრეთვე ის ფაქტი, რომ კრებაზე 469 ხმა მიიღო წინადადებამ მოსკოვში დელეგაციის გაგზავნის შესახებ „ერთიანობის აღდგენის" საკითხის განსახილველად.

„ჩვენ სიხარულით შეგვიძლია აღვნიშნოთ, — დასძენს ბერლიოზი, — რომ სოციალისტური პარტიის ბევრმა წევრმა პირი იბრუნა მე-8 ინტერნაციონალისაკენ".

სენის დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციის მემარცხენე ჯგუფის ორგანომ გამოაქვეყნა „რევოლუციონერ სოციალისტთა ხელშემწყობი კომიტეტის" რეზოლუცია, რომელსაც ეს ჯგუფი წარმოუდგენს განსახილველად სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოს დღევანდელ სხდომას. რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მშრომელი მასების მოქმედების ერთიანობამ უკვე მოგვცა შესაფერი ნაყოფი, ხელი შეუშალა რა ფაშისტური პუტჩის განხორციელებას.

ავსტრიის მაგალითი, — ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, — ამტკიცებს, რომ „ნაკლები ბოროტების" პოლიტიკა დამღუპველია. რეზოლუცია მოითხოვს, პირველ ყოვლისა, „მოქმედების ერთიანობის განმტკიცებას, ხოლო შემდეგ სრული პროლეტარული ერთიანობის შექმნას". და, ბოლოს, რეზოლუცია სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოსაგან მოითხოვს შემდეგი წინადადებების განხილვას:

1. გაიგზავნოს საბჭოთა კავშირში დელეგაცია სოციალისტური პარტიის ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელთა შემადგენლობით იმისათვის, რომ მან მე-3 ინტერნაციონალის ხელმძღვანელებთან განიხილოს საფრანგეთის მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის განხორციელების პრაქტიკული პირობები.

2. გაუქმდეს სოციალისტური პარტიის ყრილობათა გადაწყვეტილებანი, რომელნიც აბრკოლებენ მოქმედების ერთიანობას.

3. გაუქმდეს სოციალისტური პარტიის გადაწყვეტილებანი, მიღებული წინათ „მემარცხენეების" წინააღმდეგ.

4. განისაზღვროს სოციალისტური პარტიის პოზიცია ომის დაწყების შემთხვევისათვის. (ადს).

### სოციალისტების და კომუნისტების ერთიანი ფრონტისათვის

**პარიზი**, 10 მარტი. სენის დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციის აქტივისტების კრებაზე განხილულ იქნა საკითხი კომპარტიასთან ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. 4005 ხმით 1285 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია სოციალისტების და კომუნისტების შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობის შესახებ (ადს).

## სოციალ ფაშისტები მოუწოდებენ კომპარტიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ

### საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა

**პარიზი**, 12 მარტი. გუშინ შედგა სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოს სხდომა. საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნა ყრილობის ნაცვლად. დისკუსიის მიზნით, რომელშიაც ბელადებს მასებისათვის უნდა მიეცათ ახსნა-განმარტება სოციალისტური პარტიის მთელი პოლიტიკის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ნაციონალური ერთიანობის მთავრობის შექმნა, აგრეთვე იმ გამცემლური როლის შესახებ, რომელიც სოციალისტურმა პარტიამ ითამაშა უკანასკნელ ამბებში. საბჭოს სხდომები იმართებოდა ცხრაკლიტულში. პრესაში გამოქვეყნდა მხოლოდ მოკლე ცნობები. ძირითადი საკითხი იყო „ერთიანი ფრონტის" საკითხი. ნაციონალურ საბჭოს არ შეეძლო ამ საკითხისათვის გვერდის ავლა, რადგან, როგორც ერთ-ერთმა ბელადმა აღიარა „ყველა, ვინც შეეცდება გამოვიდეს ერთიანობის წინააღმდეგ, განადგურებული იქნება".

ადგილობრივი ორგანიზაციების მთელი რიგი წარმომადგენლები აღნიშნავდენ მუშების უდიდეს მისწრაფებას ერთიანი ფრონტისაკენ, წინადადებას იძლეოდენ გაეგზავნოს მე-3 ინტერნაციონალს სათანადო მიმართვა და მოითხოვდენ დელეგაციის გაგზავნას მოსკოვში. ანალოგიური წინადადებებით გამოვიდა დელეგატი ბენუა, რომელმაც შემოიტანა სათანადო რეზოლუცია.

ბლიუმმა, რომელიც დემაგოგიურად აჩვენებდა თავს ერთიანი ფრონტის მომხრედ, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საბოტაჟი გაეწია ამ იდეისათვის. ეროვნულმა საბჭომ ხმის უმრავლესობით (წინააღმდეგ ხმა მისცა 7-მა, თავი შეიკავა 72-მა) მიიღო რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლევა მთავრობის მიმართ გატარდეს „მუდმივი გარკვეული ოპოზიციის" ხაზი. რეზოლუცია გვერდს უვლის საკითხს ფაშიზმთან ბრძოლის მეთოდებისა და ამოცანების შესახებ და წინადადებას იძლევა დაინიშნოს კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს მოქმედების პროგრამა.

ერთიანი ფრონტის შესახებ რეზოლუცია შედგენილია ბლიუმის გამოსვლების მიხედვით: ბრძოლა ეროვნული ერთიანობის მთავრობის წინააღმდეგ „ოპოზიციის ზომებით" დეპუტატთა პალატაში, ფაშიზმთან ბრძოლის კონკრეტული პროგრამის გადადება პარტიის ყრილობამდე, ბრძოლა კომპარტიის, როგორც „მთავარი საფრთხის", წინააღმდეგ, ფაშიზმთან ბრძოლის კომიტეტებში მონაწილეობის აკრძალვა სოციალისტური პარტიის წევრებისათვის — ასეთია სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოს სხდომის შედეგები. ამასთან ერთად ეროვნულმა საბჭომ უარყო დელეგატ ბენუას მიერ შემოტანილი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ერთიანი ფრონტის შექმნას კომპარტიასთან და დელეგაციის გაგზავნას მოსკოვში (ადს).

## საფრანგეთის ფაშიზაციის პროექტი

### „ბიულეტენ კოტიდიენი" მხარს უჭერს ტარდიეს პროგრამას

**პარიზი**, 10 მარტი. მძიმე მრეწველობის ორგანო „ბიულეტენ კოტიდიენი" სავსებით მხარს უჭერს ტარდიეს პროგრამას კონსტიტუციის რეფორმის შესახებ, რაც გამოიხატება პარლამენტის უფლებების შეზღუდვაში, მთავრობის უფლებების გაფართოებაში და სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეების და მუშების უფლებების შეზღუდვაში.

ტარდიე სტატიაში, რომელიც მან დაბეჭდა დუმერგის კაბინეტის შექმნამდე, აცხადებს, რომ იგი თავის პროგრამას განსახილველად წარუდგენს დეპუტატთა პალატას. „როგორც კი შეიქმნება განსაზღვრული აუცილებელი პირობები".

„ბიულეტენ კოტიდიენის" სიტყვით ტარდიეს უახლოესმა თანამებრძოლმა რეინომ ამ ცოტა ხნის წინათ თავის სიტყვაში ჩამოაყალიბა შემდეგი სამოქმედო პროგრამა: „ჯერ საარჩევნო კანონის შეცვლა, შემდეგ პალატის დათხოვნა და, ბოლოს, კონსტიტუციის რევიზია".

„ბიულეტენ კოტიდიენი" აცხადებს, რომ ტარდიეს პროგრამა, შევსებული რეინოს პროგრამით პროპორციული არჩევნების შესახებ, წარმოადგენს საუკეთესო გამოსავალ პუნქტს კონსტიტუციის რევიზიისათვის (ადს).

## კომპარტიის გამარჯვება მუნიციპალურ არჩევნებში

**პარიზი**, 12 მარტი. დრანსში (სენის დეპარტამენტი) მერის თანამდებობა ეკავა სოციალისტს. ნაწილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 4199 ხმა, რადიკალებმა — 795, ნეოსოციალისტებმა — 418. 1925 წელს კომპარტიამ დრანსში შეაგროვა 2273 ხმა. შედეგების გამოცხადების შემდეგ გამართული დემონსტრაციის დროს ბევრმა მუშამ გამოაცხადა, რომ გადადის კომპარტიის მხარეზე. დემონსტრანტებს შორის ისმოდა შეძახილი: „საბჭოები ყველგან, გაუმარჯოს კომპარტიას" (ადს).

## ინგლისი ყიდულობს ტიმორის კუნძულს

**ლონდონი**, 12 მარტი. „სენდეი დისპეტჩი" იუწყება, რომ ინგლისის მთავრობა იხილავს „მალაის არქიპელაგზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის" — ტიმორის კუნძულის შესყიდვის საკითხს.

ტიმორის კუნძულის სიგრძე უდრის 300 მილს, ხოლო სიგანე — 60 მილს. მისი მოსახლეობა 800 ათასი კაცისაგან შესდგება. ამჟამად კუნძული იმყოფება ჰოლანდიის და პორტუგალიის საერთო მართვაგამგეობის ქვეშ. რაც შეეხება შესასყიდ თანხას — ასახელებენ 5—10 მილიონ გირვ. სტერლინგს. ფიქრობენ, რომ ჰოლანდიის და პორტუგალიის მთავრობები დასთანხმდებიან დაუთმონ კუნძული ბრიტანეთს. ბრიტანეთის მთავრობას, — დასძენს გაზეთი, — განზრახვა აქვს ააგოს ტიმორზე „დიდი საჰაერო და საზღვაო ბაზები, რომლებიც პირდაპირ დაუკავშირდებიან სინგაპურს, აგრეთვე რადიოსადგური" (ადს).

### „პრავდა" ინგლისის მიერ ტიმორის კუნძულის შეძენის შესახებ

უკანასკნელ დროს ინგლისი ძლიერ ენერგიულად ამაგრებს თავის პოზიციებს წყნარ ოკეანეზე. ამ დღეებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ბრიტანეთის ადმირალტიამ, გადაწყვიტა შექმნას დარვინის ნავთსადგურში, ავსტრალიის ჩრდილოეთ დასავლეთის ნაპირზე, ძლიერი საჰაერო და საზღვაო ბაზა. სინგაპურის ყოველმხრივ გამაგრებასთან ერთად ინგლისელები ამაგრებენ ფალკლენდის კუნძულებს ატლანტის ოკეანეზე, აძლიერებენ და აშენებენ ახალ ბაზებს მცირე ანტილის კუნძულებზე, რომლებიც ხურავენ გამოსავლელს ატლანტის ოკეანიდან კარაიბის ზღვაში. შესყიდვა ტიმორის კუნძულისა, რომელიც მდებარეობს მალაის არქიპელაგზე, დარვინსა და სინგაპურს შორის, წარმოადგენს ერთერთ რგოლს წყნარ ოკეანეზე ომისათვის ინგლისის მზადების ჯაჭვში (ადს).

## საბჭოთა პავილიონი ლიონის ბაზრობაზე

### საყოველთაო ყურადღებას იპყრობს

**პარიზი**, 11 მარტი. 11 მარტს ლიონში ზეიმით გაიხსნა ბაზრობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირი. გახსნას დაესწრო საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. ოსტროვსკი. საბჭოთა პავილიონი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. „პტი ჟურნალის" სიტყვით, ერიომ დაათვალიერა ბაზრობა და განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა კავშირის პავილიონი. გაზეთი წერს, რომ ბანკეტზე ერიომ „განსაკუთრებული მეგობრული ტონით ილაპარაკა სავაჭრო წარმომადგენლის ამხ. ოსტროვსკის შესახებ, რომელიც მის გვერდში იჯდა", და მადლობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირს ბაზრობაში მონაწილეობისათვის. საპასუხო სიტყვაში ამხ. ოსტროვსკიმ აღნიშნა საბჭოთა კავშირის მისწრაფება განავითაროს ეკონომიური ურთიერთობა საფრანგეთთან და აღდგრძელა ქალაქი ლიონი და მისი მერი — ერიო (ადს).

# მექანაფეობის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ

### ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა თავისი მექანაფეობის მეურნეობის განვითარებით უფრო მეტი მეურნეობრივი დაინტერესების და კანაფის მოსავლიანობის გადიდების მიზნით, ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის კართოფილის სავალდებულო ჩაბარებისაგან და სახელმწიფოსათვის სავალდებულო კონტრაქტაციით ბოსტნეულის ჩაბარებისაგან კოლმეურნეობანი: კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები, რომლებმაც დათესეს კანაფი საკარმიდამო, კარმიდამოს ახლო მდებარე და სახელდებულ მიწებზე და შეასრულეს თავისი ვალდებულებანი, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებთან შეფარდებით, სახელმწიფოსათვის ქერელის ჩაბარების მხრივ ჰექტარების იმ ოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოყენებული იყო საკარმიდამო, კარმიდამოს ახლო მდებარე და სახელდებულ მიწებზე კანაფის დასათესად.

გავრცელდეს ეს შეღავათი კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნული მეურნეების მიერ როგორც 1934 წელს, ისე შემდგომ წლებში საკარმიდამო, კარმიდამოს ახლობლად და სახელდებულ მიწებზე დათესილ კანაფზე.

2. გაორკეცდეს კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელ ერთპიროვნული მეურნეებისათვის მტკიცე სახელმწიფო ფასებში პურის მიყიდვის ნორმები და დაწესდეს, 15 მარტიდან დაწყებული, პურის გაყიდვა ქერელ-ბოჭკოს თვითეულ ჩაბარებულ ცენტნერზე შემდეგი ოდნობით: კოლმეურნეობებისათვის—3 ცენტნერი, კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეებისათვის—2,5 ცენტნერი.

3. გადიდებულ იქნას ჩამბარებლებისათვის მტკიცე სახელმწიფო ფასებში მცენარეულობის ზეთის და კოპტონის მიყიდვის ნორმები და დაწესდეს შემდეგი ოდენობა სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ კანაფის თესლზე;

(კილოგრამობით).

| | ზეთ. | კოპტონი |
|---|---|---|
| კოლმეურნეობანი | 6 | 12 |
| კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნულ მეურნეები | 5 | 10 |

4. დაწესდეს კანაფის დასველებასა, გაშრობასა და მოთელვაზე მომუშავე კოლმეურნეებისათვის გადიდებული შეფასება შრომა-დღეებში, ამასთან ჩაეთვალოს მათ ორი შრომა-დღე მომქმედი შეფასებით დაწესებული გამომუშავების დღიური ნორმის შესრულებისათვის.

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე **ვ. მოლოტოვი.**

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. სტალინი**

11 მარტი 1934 წ.

## საინფორმაციო ცნობა

**ბაქო**, 13 მარტი. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმმა 1934 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით დაადგინა:

1. ამხ. კუდრიავცევის საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად გადასვლის გამო, განთავისუფლებულ იქნას იგი აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მეორე მდივნის მოვალეობისგან.

2. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მეორე მდივნად დამტკიცებულ იქნას ამხ. აგრბა.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმმა 1934 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა:

1. ამხ. აკოპოვის სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, განთავისუფლებულ იქნას იგი აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

2. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის მეორე მდივნად დამტკიცდეს ამხ. სეფი და შეყვანილ იქნას იგი აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმის და ბიუროს შემადგენლობაში.

## საკავშირო დეპეშათა სააგენტო უარყოფს

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს უარყოს, როგორც მთლიანად მოგონილი, იაპონიის და მანჯურიის ცნობები იმის შესახებ, თითქოს 22 და 23 თებერვალს ადგილი ჰქონოდეს საბჭოთა თვითმფრინავების გაფრენებს მანჯურიის და კორეის ტერიტორიაზე.

# საბჭოთა კავშირში

## მ. ი. კალინინის მისალმება

### საშეფო ბრიგადების და სახელმწიფო აპარატის სოცშემთავსებელთა საკავშირო შეკრებას

მხურვალედ ვესალმები სახელმწიფო აპარატზე მუშათა შეფობის მონაწილეებს და ორგანიზატორებს და სოციალისტურ შემთავსებლებს.

საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტურ მშენებლობასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში აბამს უკლებლივ ყველა მშრომელს. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ყველა მასობრივი ორგანიზაციის, პირველ რიგში პროფკავშირების — კომუნიზმის სკოლის აქტიური მუშაობით. იმედი მაქვს, რომ საშეფო ბრიგადების და სოცშემთავსებლების პირველი საკავშირო შეკრება, რომელიც მოწვეულია სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის მიერ, სერიოზულად შეუწყობს ხელს საკ. კ. პ (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

**მ. კალინინი.**

## ცნობები შმიდტის ბანაკიდან

### ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო იოფეს - საავარიო. მოსკოვი

**შმიდტის ბანაკი**, 11 მარტი, 14 საათი და 13 წუთი. ჩვენს ბანაკში ყველაფერი კვლავ თავის რიგზეა (ადს).

### „საბჭოთა მეცნიერები ახდენენ გეოგრაფიის ბოლშევიზაციას"

### „ევრი" საბჭოთა კავშირის წარმატებათა შესახებ არქტიკაში

**პარიზი**, 12 მარტი. გაზეთი „ევრი" ათავსებს ვრცელ სტატიას, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ჩელიუსკინის" ტრაგიკულმა ღაშქრობამ მთელი დასავლეთ ევროპის ყურადღება უნდა მიაპყროს იმ თვალსაჩინო აქტიობას, რომელსაც საბჭოთა მეცნიერება რამდენიმე წელიწადია იჩენენ არქტიკაში".

საკმარისია აღინიშნოს, — წერს გაზეთი, — რომ ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზა, რომელიც აქამდის მიუდგომელი იყო, თანდათან იხსნება ნავიგაციისათვის. გაზეთი უჯამებს საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს არქტიკაში და, იუწყება რა მთელი რიგი კუნძულების, სრუტეების და სხვ. აღმოჩენის შესახებ, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, ამბობს: „საბჭოთა მეცნიერები ახდენენ გეოგრაფიის ბოლშევიზაციას" (ადს).

## მწერალთა საკავშირო ყრილობა მოწვეულია 25 ივნისისათვის

**მოსკოვი**, 13 მარტი. დასრულდა საბჭოთა მწერლების კავშირის ორგკომიტეტის პლენუმი. პლენუმმა გადაწყვიტა მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობა მოწვეულ იქნას 25 ივნისისათვის. პლენუმმა ორგკომიტეტის შემადგენლობაში ამიერ-კავკასიიდან შეიყვანა ამხ. ტოროშელიძე, სიმონიანი და ნაზარლ. (ადს).

## სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება

**მოსკოვი**, 12 მარტი. ამხ. ალექსი სიმონის-ძე კისელიოვის სრულიად რუსეთის ცაკის მდივნის პოსტზე 10 წლის განმავლობაში ყოფნის და მისი რევოლუციური ბოლშევიკური მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავად სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის უმაღლეს კურსებს ეწოდოს ამხ. ა. ს. კისელიოვის სახელი.

2. დაწესდეს ამხ. ა. ს. კისელიოვის ხუთი მუდმივი სტიპენდია სრულიად რუსეთის ცაკის საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტში.

წინადადება მიეცეს რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს გამოყოს ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული სტიპენდიებისათვის საჭირო სახსრები, დაწყებული 1934 წლის საბიუჯეტო წლიდან

### მეღორეობის საბჭოთა მეურნეობების დამხმარე მეურნეობანი გადაცემულია საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა გამგებლობაში

**მოსკოვი**, 12 მარტი. წელს მეღორეობის საბჭოთა მეურნეობების დამხმარე მეურნეობანი, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების და პურის საცხობი საწარმოები მუშათა დახურული კოოპერატივების გამგებლობიდან გადაცემული იქნება თვით საბჭოთა მეურნეობების დირექტორების უშუალო გამგებლობაში. მუშათა დახურული კოოპერატივების მუშაობა მიმართული უნდა იქნას მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების და მოსამსახურეთა სავაჭრო მომსახურებისაკენ (ადს).

### 55 მილიონი მანეთი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ვაჭრობის ორგანიზაციისათვის

**მოსკოვი**, 12 მარტი. „ცენტროსოიუზის" პრეზიდიუმმა გაიღო 55 მილიონი მანეთი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ახლად გასახსნელი ისეთი სანიმუშო რაიონული მაღაზიების ორგანიზაციისათვის, რომლებიც გაჰყიდიან ფართო მოხმარების საქონელს, წიგნებს, საკანცელარიო ნივთებს, კულტსაქონელს და სხვ. რაიმაღაზიების დასაკრედიტებლად ა.-ფ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში „ცენტროსოიუზი" პირველი კვარტალისათვის გაიღებს 3450 ათას მანეთს (ადს).

### მემორიალური დაფა „ნაროდნაია ვოლიას" პარტიის სადინამიტო სახელოსნოზე

**ლენინგრადი**, 12 მარტი. ვასილიევის კუნძულის მე-11 ხაზზე მდებარე № 24 სახლს, სადაც მოთავსებული იყო „ნაროდნაია ვოლიას" პარტიის სადინამიტო სახელოსნო, ლენინგრადის საბჭომ მიაკრა მემორიალური დაფა (ადს).



თვითმფრინავ „მაქსიმ გორკის" ფრთების მონტაჟი

## ნახერხი—საწვავ მასალად ორთქლმავლისათვის

მე-17 პარტყრილობაზე ამხ. სტალინმა თქვა: „საქონლის ბრუნვის გაშლის და ტრანსპორტის გადაჭრით ჩამორჩენისა და უთავბოლობის ამოცანა წარმოადგენს იმ მორიგ და ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანას, რომლის გადაუჭრელად ჩვენ არ შეგვიძლია წინსვლა". რკინის გზის ტრანსპორტს უნდა დაეხმაროს ყველა, მთელი ქვეყანა; უნდა გამოვნახოთ ის ფარული რესურსები, რომელიც მოიპოვება ჩვენ სახალხო მეურნეობაში ტრანსპორტის მუშაობის ასაყვანად დღევანდელი მოთხოვნილების დონეზე.

ერთი ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ტრანსპორტზე ახალი რესურსების გამოსაყენებლად, როგორც გაზ. „ლესნაია პრომიშლენნოსტ" იუწყება, გადადგეს ვოლოგდის რკინის გზის კვანძის მუშაკებმა; ორთქლმავალში საწვავ მასალად მათ გამოიყენეს **ნახერხი**. ბოლშევიკ-დამკვრელის, ამხ. **გ. პავლოვის** ინიციატივით, იქ ნახერხი შეურიეს ნახშირს და საუკეთესო შედეგი მიიღეს: ორთქლმავალი მუშაობდა ნორმალურად. უკვე პირველმა ცდებმა ცხადჰყო ამ წესით ორთქლმავლების თბობის დიდი უპირატესობა. 1933 წ. დეკემბერში ვოლოგდის დეპოს ორთქლმავალთა პარკიდან, როცა მარტო ქვანახშირს იყენებდენ, მხოლოდ 12 ორთქლმავალმა მოგვცა ეკონომია, ხოლო 1934 წ. იანვარში, როცა ქვანახშირთან ერთად, გამოიყენეს ნახერხიც, ეკონომია მოგვცა უკვე 52 ორთქლმავალმა. ნახერხის გამოყენება საწვავ მასალად ორთქლმავალში თითქმის სანახევროდ ამცირებს მოთხოვნას ქვანახშირზე, ანთავისუფლებს ქვანახშირის, განსაკუთრებით ხარისხოვანი ქვანახშირის დიდ მასას სოციალისტური მეურნეობის სხვა დარგებისათვის.

მთელი რიგი მემანქანეების დასკვნით, რომელთაც თავიანთ ორთქლმავლებზე გამოიყენეს ასეთი შერეული საწვავი, ამ წესის განხორციელება იძლევა ნახშირის დიდ ეკონომიას და არავითარ ზედმეტი მოწყობილობის დადგმას ორთქლმავალზე არ მოითხოვს. ახლა ვოლოგდის დეპოს ყველა ორთქლმავალზე საწვავი მასალის 50 პროც. ნახერხი შეადგენს, რაც იძლევა ქვანახშირის ეკონომიას 12 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ რაიონებში, მდიდარია ნახერხით, რომელიც აქამდე გამოუყენებელი იყო და იკარგებოდა. ამ ინიციატივის გავრცელების შემდეგ საბჭოთა კავშირის ყველა გზებზე. ნახერხს დიდი გამოყენება ექნება. ამგვარად, სატყეო მრეწველობა აქტიურად დაეხმარება სათბობით ტრანსპორტს, რაც ქვეყანას მისცემს ყოველწლიურად რამოდენიმე მილიონ ტონა ქვანახშირის ეკონომიას.

## ტრაქტორების რემონტი საბჭოთა კავშირის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში

**მოსკოვი**, 12 მარტი. 5 მარტისათვის მიწსახკომის სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეკეთებულია 91.288 ტრაქტორი. გეგმა შესრულებულია 82,4 პროცენტით (გასულ წელს ამ დროისათვის შეკეთებული იყო სატრაქტორო პარკის მხოლოდ 59,5 პროცენტი).

საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეურნეობებში შეკეთებულია 29 ათასი ტრაქტორი. გეგმა შესრულებულია 70,2 პროცენტით.

ტრაქტორების რემონტს ჩინებულად გაართვეს თავი მიწსახკომების საბჭოთა მეურნეობებმა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა სომხეთში, თურქმენისტანში, ყირგიზეთში, მოსკოვის ოლქში და ხარკოვშჩინაში, სადაც მთლიანად შეკეთებულია ყველა ტრაქტორი (ადს).

პარტიული მშენებლობა

# გარდავქმნათ ორგანიზაციული მუშაობა

## აღვკვეთოთ ფუნქციონალობა მუშაობის ყველა დარგში

## როგორ დაიწყო მუშაობა ინსტრუქტორმა ამხ. გრიცენკომ

ეს მოხდა 9 მარტს. ლენრაიკომის პლენუმის დამთავრების შემდეგ, დარბაზის ერთ კუთხეში რამოდენიმე ამხანაგი შემოეხვია ირგვლივ რაიკომის კადრების ყოფილ განყოფილების გამგე ამხ. ბორის გრიცენკოს და დაუწყეს გამოკითხვა, თუ როგორ უნდა შეუდგენ მუშაობის გარდაქმნას ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. ნუ გაგვიკვირდებათ, რომ ეკითხებიან კადრების ყოფილი განყოფილების გამგეს, თუ როგორ გარდაქმნან მუშაობა.

ამხ. ბ. გრიცენკო კადრების განყოფილების გამგე იყო, მაგრამ ეხლა, რაიკომის აპარატის გარდაქმნის შემდეგ, იგი პასუხისმგებელი ინსტრუქტორია ახალი მშენებლობის პირველადი პარტორგანიზაციების ხაზით.

მეც მსურს ვესაუბრო ამხ. გრიცენკოს, გავიგო თუ როგორ შეუდგა მუშაობას იგი, როგორც ახალი ტიპის ინსტრუქტორი, რომელზედაც ამხ. კაგანოვიჩი ამბობდა „ეს იქნება ინსტრუქტორი, რომელსაც ჩააბარებენ ტერიტორიალურ პარტიულ ორგანიზაციების განსაზღვრულ ჯგუფს და რომელიც პასუხს აგებს მათი მუშაობისათვის“-ო.

ვხედავ დღეს დრო არ აქვს ამხ. გრიცენკოს, ის ესაუბრება მშენებლობის პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

— როდის შეიძლება განახო ვეკითხები ამხ. გრიცენკოს

— ჩემი მაგიდა „გაუქმებულია“, მე ქარხნებში ვარ ყოველდღე, რაიკომში ჩემი ნახვა შეიძლება მხოლოდ დილის 9 საათამდე.

შევთანხმდით, დილის 9 საათზე უნდა შევხვედით ერთმანეთს.

10 მარტს, დილის 9 საათზე ვერ მოუსწარი მას რაიკომში, 8 საათზე წასულიყო ქარხანაში; მუშაობის დაწყებამდე მუშებში ყრილობის მასალებზე საუბრების მოსაწყობად.

11 მარტს 8 ნახევარ საათზე შევხვდით რაიკომში.

— როგორ შეუდექი მუშაობას? რის გაკეთება მოასწარი ამ მოკლე ხნის განმავლობაში? — პირდაპირ ვაყრი კითხვებს.

— 7 მარტიდან დავიწყე მუშაობა ამბობს იგი, სანამ მუშაობას შევუდგებოდი საფუძვლიანად გავეცანი იმ ობიექტებს, სადაც უნდა უხელმძღვანელო პირველად პარტიულ ორგანიზაციას. მე გავიგე თუ რა არის იქ მთავარი და საიდან უნდა დამეწყო მუშაობა. ამის შემდეგ გადავწყვიტე — შემესწავლა თითეული მშენებლობის მუშები, ცოცხალი ადამიანები, პირველ რიგში პარტიის წევრები. განსაკუთრებით ყურადღება მივაქციე პარტიულ-მასობრივი მუშაობის დაყენებას, მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებების შესწავლას და მათ საფუძველზე პარტიული და სამეურნეო მუშაობის გარდაქმნას.

— დღემდე მოვასწარი სამკერვალო ფაბრიკის, ბეტონის ქარხნის, ავტოსარემონტო და ნავთის საბურავ მანქანათა ქარხნის მშენებლობათა შესწავლა. გამოირკვა, რომ სამკერვალო ფაბრიკის, ნავთის საბურავი მანქანათა და მაცივრის მშენებლობაზე ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება ფორმალურად მიმდინარეობდა; ავტოსარემონტო ქარხანაში კი წარმატებით ატარებენ ამ მუშაობას, იქ წრეებში ჩაბმულია თითქმის ყველა მუშა და გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ამხ. სტალინის მოხსენების და ყრილობის გადაწყვეტილებების საუკეთესოდ შესწავლაზე. „სტალინური გამოცდის“ ჩაბარებაზე. აგრეთვე გზავნიან მუშათა ოჯახებში პროპაგანდისტებს და იქ ამუშავებენ ამხ. სტალინის გენიალურ მოხსენებას.

— ცუდი მუშაობის გამომჟღავნებით არ დავკმაყოფილებულვარ, არც რეზოლუციები დამიწერია რაიკომისათვის — ამბობს ამხ. გრიცენკო, მოვიწვიე სამკერვალო ფაბრიკის, ბეტონის ქარხნის და მაცივრის მშენებლობის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელების 10 წუთიანი თათბირი ავტო სარემონტო ქარხნის პარტორგანიზატორებთან ერთად იმ მიზნით, რომ ჩამორჩენილებში გადაგვეტანა ავტო-სარემონტო ქარხნის კარგი გამოცდილება. მათ გავაცანით, თუ როგორ მუშაობს ავტო-სარემონტო ქარხანა და მივეცით კონკრეტიული მითითებები ამ მუშაობის დაუყონებლივ გასაშლელად ავტო-სარემონტო ქარხნის გამოცდილების საფუძველზე. ახლა ვეხმარებით პარტორგანიზაციას საპროპაგანდო მუშაობის მოწყობაში.

— სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობაზე ჩემი მუშაობის დროს კოოპერატივში მოიტანეს ლობიო, რომელიც მტვერით იყო სავსე. ერთი კილო ლობიოში 200 გრამი მტვერი იყო; მუშებში ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად იქვე მივიღე ზომები კოოპერაციის გამგეს ვუთხარი, რომ გაეწმინდა ლობიო მტვრისაგან და ისე გაეყიდა.

— ბეტონის ქარხნის მშენებლობის გეგმა არ სრულდება. გადავწყვიტე გამომერკვია გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი — ამბობს ამხ. გრიცენკო. გამორკვევამ ცხადყო, რომ გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია მუშათა ცვალებადობით. რაც საბინაო საკითხის მოუგვარებლობის შედეგია. მუშათა ბარაკებში ცხოვრება შეუძლებელი იყო. ეს საკითხი დავსვი ქარხნის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციის წინაშე.

როდესაც დავსვი ეს საკითხი — ადგილობრივ ორგანიზაციის მაგივრად კი არ დამიწყია მუშაობა; მე კარგად მახსოვს. ამხ. კაგანოვიჩის მითითება: **არ იმუშაო ყველას მაგიერ, არამედ ასწავლე პირველადი პარტორგანიზაციას როგორ უნდა იმუშაოს, გააძლიერე მათი პასუხისმგებლობა დავალების შესრულებაზე, სისტემატიური კონტროლის გზით.**

მტკიცედ გადავწყვიტე არ მოვედო ყველაფერს. არამედ მოვნახო მუშაობის მთავარი რგოლი და მას ჩავჭიდო ხელი. ჩემ მუშაობაში ახლა მთავარია: მოვაწყო ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებების ღრმად შესწავლა და მის საფუძველზე პარტიული მუშაობის გარდაქმნა.

თვიური გეგმა არ შემიდგენია ისე როგორც წინად ვადგენდი, ახლა შევადგინე ხუთდღიური გეგმა და მის მიხედვით ვმუშაობ — ამთავრებს ამხ. გრიცენკო.

— 9 საათია, ქარხანაში მიცდიან უნდა წავიდე — ამბობს იგი და მემშვიდობება.

— შემდეგ კიდევ შევხვდეთ, მეტი გამოცდილება მექნება და მეტს გეტყვი! მომაძახა მან კარებიდან.

**ალ. ჩიქოვანი.**

## ჭიათურის რაიონში მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი ფორმალურად მუშავდება

(ჭიათურა, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

**ჭიათურის რაიონში მე-17 პარტყრილობის შედეგების დამუშავება სუსტად მიმდინარეობს. მთელი რიგი ორგანიზაციები ყრილობის დადგენილებას ფორმალურად ამუშავებს არ ღებულობს არავითარ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნისათვის. მაგალითად, მთავარ მექანიკურ სახელოსნოს პარტორგანიზაციამ** სტალინის მოხსენების დამუშავების ირგვლივ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მოწონებულ იქნას სტალინის მოხსენება და ვიბრძოლოთ მის განხორციელებისათვის“. კრებაზე არ იყო ლაპარაკი კონკრეტულად თუ როგორ უნდა გარდაქმნან მუშაობა ამხ. სტალინის მოხსენების საფუძველზე.

რაიონის სოფლის პარტორგანიზაციებიც დაუშვებელ უყურადღებობას იჩენდენ სოფ. ჩიხის საკოლმეურნეო პარტუჯრედის მდივანი იაკობაშვილი აცხადებს: „ყრილობის შედეგები მგონი დავამუშავეთ, მაგრამ კარგად არ მახსოვს“-ო. ჭიათურის რაიკომმა პასუხი უნდა მოსთხოვოს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ასე ფორმალურად უდგებიან პარტყრილობის გადაწყვეტილების დამუშავებას და მიიღოს ახლავე საჭირო ზომები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

## მზადება „სტალინური გამოცდისათვის“

(26 კომუნარის ქარხანა)

26 კომუნარის სახ. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკურად გაშალა მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა თვითეულ საამქრომდე, ბრიგადამდე და მუშამდე დაყვანისათვის. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა საბრძოლო ამოცანად დაისახა მუშათა მასების მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიით შეიარაღება და პირველ რიგში ამხ. სტალინის მოხსენების საფუძვლიანად შესწავლა. პოლიტსკოლებში მსმენელები უზრუნველყოფილი არიან სათანადო ლიტერატურით, ბინით და შერჩეული პროპაგანდისტებით.

2 თებერვალს დაიწყო ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავება საამქროებში, ბრიგადებში და პოლიტწრეებში. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების საფუძველზე ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ხელმეორედ შეუდგა ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლას.

ამხ. სტალინის მოხსენების შესწავლასთან დაკავშირებით მუშათა ენთუზიაზმი საგრძნობლად გაიზარდა. თუ წინათ პოლიტწრეებში მსმენელთა დასწრება მეცადინეობას უდრიდა 80 პროცენტს, ამჟამად ის აღწევს 95 პროცენტამდე. პარტიული კომიტეტის მიერ გამოყოფილია საუკეთესო პროპაგანდისტები: ამხ. მ. იაზლოვსკი, უ. გრიგორიანი, შ. ტყეშელაშვილი და ისეთი მუშები, რომლებმაც ფრიადზე ჩააბარეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდა; მათ დავალებული აქვთ საერთო საცხოვრებლებში, მუშათა ბინებში და კლუბებში აწარმოონ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება. პოლიტსკოლებში არიან საუკეთესო მსმენელები, რომლებიც ყოველდღიური მეცადინეობის დროს იჩენენ განსაკუთრებულ აქტივობას დასმული საკითხების საუკეთესოდ შეთვისებაში და მისაბაძ მაგალითს იძლევიან სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში. ასეთები არიან ამხ. **გ. მირზოიანი, ბოგოიავლენსკი, დ. არტაზოვი, ტოროზოვა, (უპარტიო)** და სხ. პოლიტწრეებში ირიცხებიან ისეთებიც, რომლებიც არ აფასებენ პარტიული სწავლების მნიშვნელობას. ესენი არიან ამხ. დრიევი, სიმონიანი, ავაქოვი, კარაპეტიანი, ურუსოვი და **დადიანიძე. პარტიულმა კომიტეტმა,** მწვავედ უნდა დააყენოს საკითხი იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც არ აფასებენ პარტსწავლების მნიშვნელობას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ამხ. სტალინის მოხსენება 26 კომუნარის ქარხანაში დაყოფილ იქნა 10 თემად და დამუშავდება 20 მეცადინეობაზე. შედგენილია კალენდარული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ დაწესებულ ვადაში პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების მთლიანად დამთავრებას.

პარტკოლექტივის დადგენილების საფუძველზე 5 მარტიდან 5 მაისამდე ქარხანაში ტარდება მუშაობა ლოზუნგით — არ უნდა დარჩეს პარტიის არცერთი წევრი, კანდიდატი, და უპარტიო მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებზე „სტალინური გამოცდის“ ჩაბარების გარეშე, რისთვისაც პარტიული კომიტეტი აცხადებს კონკურსს. ქარხანაში ჩამოყალიბებულია მუდმივი კონსულტაცია, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს მუშებს; ყველა გაუგებარი საკითხების ახსნა-განმარტებაში.

26 კომუნარის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაცია ბოლშევიკურად ემზადება ამხ. სტალინის მოხსენების და ყრილობის გადაწყვეტილებების შეთვისებაზე, „სტალინური გამოცდის“ ჩაბარებისათვის.

**ვ. კილურაძე.**
**გ. აროსია.**

## პირველადი პარტორგანიზაციების გარდაქმნა

**მოსკოვი, 12 მარტი. მოსკოვის პარტორგანიზაციების უმრავლესობა უკვე შეუდგა ძირეული პარტიული რგოლის გარდაქმნას.**

**ქარხანა „სპარტაკში“ (ძერჟინსკის რაიონი) მექანიკურ საამქროში საამქრო ბიუროს ლიკვიდაციის შემდეგ ახლად არჩეულმა პარტორგანიზატორმა ამხ. ზახრიაბინმა მოაწყო საამქროში რგოლური პარტჯგუფი. გამოყოფილია კომუნისტები უპარტიოების შორის მუშაობისათვის. თვითეულ რგოლზე მიმაგრებულია ერთი საინჟინერო-ტექნიკური მუშაკი, რომელიც დახმარებას უწევს მუშებს ტექნიკის დაუფლებაში.**

**საამქროს პარტორგი ყოველდღე ატარებს რგოლორგანიზატორებთან 5 — 10 წუთიან თათბირებს პარტმასობრივი მუშაობის საკითხებზე.**

**ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში (ოქტომბრის რაიონი), პარტმასობრივი მუშაობის ყოველდღიურად გაზიარების და პარტორგთა პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით მოეწყო სპეციალური სემინარი.**

**№ 33 ქარხნის პარტჯგუფების კრებებზე ისმენენ კომუნისტთა ხაანგარიშო მოხსენებებს მათი წამყვანი როლის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეს მათ მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება.**

**ძირეული პარტრგოლის გარდაქმნამ გამოიწვია პარტორგების და ჯგუფების ინიციატივის, პასუხისმგებლობის გაძლიერება და აამაღლა კომუნისტთა აქტივობა (ადს).**

## სამტრედიის რაიკომის პლენუმი

9 მარტს საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის შენობაში შესდგა რაიკომის მეორე პლენუმი საკოლმეურნეო ტერიტორიალურ და ქალაქის პარტუჯრედების მდივნებთან ერთად.

პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივნის ამხ. არობელიძის მოხსენება პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. პლენუმმა გააუქმა რაიკომში არსებული განყოფილებები და მათ მაგიერ გამოყო პასუხისმგებელი ინსტრუქტორები. 10 მარტიდან ინსტრუქტორები გაეგზავნენ ადგილებზე.

პლენუმმა რაიკომის პ.-მგ. მდივნის მოადგილედ დაამტკიცა ამხ. ბუაჩიძე, რაიონული გაზეთის „სოციალისტური შრომის“ პ.-მგ. რედაქტორად ამხ. ტურძელაძე.

# წუნის მიზეზია ფუნქციონალობა და მუშა-ხელის დენადობა

## მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“

„აშკარაა, რომ ფუნქციონალობა და მმართველობის მთელი სისტემის ასეთი ფუნქციონალური სტრუქტურა, განსაკუთრებით ფაბრიკაში, ხელს უწყობდა ცუდი ხარისხის პროდუქციის წარმოებას (პროდუქციის წუნი). წუნმა და მეორე ხარისხმა უდიდეს ოდენობას მიაღწია. ცალკე საწარმოებში უშვებდენ 30—40 პროცენტ წუნს“ (კაგანოვიჩი).

### რეკორდი, რომელსაც არ თმობენ

რეკორდი მრავალგვარია, მაგრამ აქ ჩვენ იმ რეკორდზე ვლაპარაკობთ, რომელიც ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველომ“ დაამყარა. ამ რეკორდის შექმნაში ყველა მონაწილეობდა: ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელობა, პარტორგანიზაცია, პროფკავშირი, ცალკე მუშები. და ყველა მათგანს ყოველ წუთს აქვს საშუალება ნახოს ფაბრიკის კარიდორში კედელზე ჩამოკიდებული დიდი დაფა წარწერით; „წუნის დინამიკა“. წარწერას მისდევს ციფრები, რომელიც ძვა პროდუქციის წუნის პროცენტს გამოხატავს. აი ეს ციფრები: იანვარი—44, თებერვალი—45,2, 4 მარტი 50,4.

საქართველოში არ არის და შეიძლება მთელს საბჭოთა კავშირშიაც არ მოიპოვებოდეს მეორე ისეთი საწარმო, რომელსაც წუნის ასეთი რაოდენობა ჰქონდეს. მაგრამ ეს ახალი ამბავი არაა არც რაიმე შემთხვევის შედეგი. გასულ წელსაც არ იყო უკეთესი მდგომარეობა. წუნი მაშინაც ასეთ სურათს იძლეოდა.

წუნი მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომელსაც ადგილობრივი მუშაკები ფორმალურად არ ურიგდებიან, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ მაინც არაფერი გამოდის.

ვთქვათ, გაიმართება საწარმოო თათბირი, ან მუშათა საერთო კრება. ფაბრიკის დირექტორი, საამქროს გამგე და ბევრი სხვაც გამოდიან მოხსენებით, აკრიტიკებენ. აძათრახებენ ერთმანეთს, წყევლიან წუნს, ზიზღით იხსენიებენ წუნისმქმნელებს, იწერება რეზოლუციები, „კონკრეტული ღონისძიებები“ (ჩვენ ქვევით მოვიყვანთ ასეთი „კონკრეტული ღონისძიებების“ ერთ სიძუნთაგანს), მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება, პროდუქციის ხარისხი არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება კიდეც. ბაზარზე გამოდის საძაგელი ქსოვილი: თვალში გეცემათ მსხვილი ძაფები, რომელიც ნაჭერს მთელ სიგანეზე გასდევს; ზოგან ძაფები ნაჭრის შუა ადგილზე გაწყვეტილია და რჩება მეჩხერად ნაქსოვი; ზოგჯერ — იყიდი ქსოვილს, შეკერავ ტანსაცმელს და ძალიან მალე ხუნდება. ვინ იცის, რამდენი დეფექტი ახასიათებს მაუდსა და შალს, რომელსაც „საბჭოთა საქართველო“ ამზადებს.

**გამოშვებული პროდუქციის თითქმის ნახევარი წუნია** ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოითმენს საბჭოთა მომხმარებელი; ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება პარტიის დირექტივებს და ამხ. სტალინის მითითებებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

წყევლა-კრულვით, რეზოლუციების წერით, თათბირებით და ფუსფუსით, პატიოსანი თუ უპატიოსნო ლაყბობით მდგომარეობა არ შეიცვლება, საქონლის ხარისხი არ გაუმჯობესდება. **საჭიროა წუნის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი აღმოფხვრა. ეს არის ერთად ერთი სწორი გზა.**



მუშა—როდის აშენებთ საერთო საცხოვრებელს ფაბრიკის მუშებისათვის, ბინა არა მაქვს.
დირექტორი—ეს ჩემი საქმე არაა, ტრესტის ფუნქციაში შედის.

### ფუნქციონალობა აფუჭებს შალსა და მაუდს

ამხ. სტალინმა და კაგანოვიჩმა პარტიის მე-17 ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ფუნქციონალობას. ამხ. კაგანოვიჩმა მრავალი ფაქტით ცხადყო ის ზიანი, რომელსაც ფუნქციონალობა აყენებს პროდუქციის ხარისხს. ამ სენს ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაშიც მაგრად აქვს ფესვები გადგმული და წარმოადგენს წუნის მთავარ მიზეზს.

ფაბრიკის სამმართველოს აპარატი აგებულია ფუნქციონალური სისტემის მიხედვით. დირექტორი, რომელსაც მთავრობის სპეციალური დადგენილებით, უშუალოდ ეკისრება პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის, მთელი რიგი რგოლების საშუალებით მოწყვეტილია დაზგას, სადაც წყდება ხარისხის ბედი. ზედმეტი არ იქნება თუ ჩამოვთვლით ამ რგოლებს, ესენია: დირექტორის მოადგილე, ტექნიკური ხელმძღვანელი, საგეგმო განყოფილება, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განყოფილება, კადრების განყოფილება, ტექნიკური კონტროლის განყოფილება, საამქროს გამგე, მისი თანაშემწე, ოსტატი, ცვლის ოსტატი, მონტაჟის ოსტატი და ქვეოსტატი და მერე — მუშა. ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ ის რგოლები, რომლებსაც ხარისხის საკითხთან მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ.

როგორ წარმოებს წუნის აღრიცხვა? ამისათვის არსებობს სპეციალური განყოფილება — **ტექნიკური კონტროლის განყოფილება,** რომელიც მთელ ფაბრიკას ემსახურება. მას აქვს დირექტივების მიცემის და შესრულების მოთხოვნის უფლება. საამქროებში მუშაობენ წუნმდებლები, რომლებიც, ერთის მხრივ, ტექნიკური კონტროლის განყოფილებას ემორჩილება და, მეორეს მხრივ, საამქროს გამგეს. ერთ კაცს ხელმძღვანელობს ორი უშუალო უფროსი თუ უფრო მაღალი თანამდებობის პირებს არ მივიღებთ მხედველობაში. საამქროს გამგე მოითხოვს, რომ წუნის აღრიცხვა ხდებოდეს ყოველდღიურად. წუნმდებლები ამას ასრულებენ, მაგრამ ისინი, აპარატის ფუნქციონალური აგებულობის გამო, ვალდებულნი არიან ცნობები წუნის შესახებ გადასცენ ტექნიკური კონტროლის განყოფილებას. ამ უკანასკნელის ფუნქციას შეადგენს მიწოდებული ცნობების შეჯამება. **შეჯამება და ცნობების ანალიზი ხდება თვის ბოლოს. ასეთ ფუნქციო**ნალობის დროს. ვინაა წუნის გამომშვებში კონკრეტული დამნაშავე? ტექნიკური განყოფილების გამგე **ამხ. თათარაშვილმა ეს არ იცის.** საჭიროა მიმართო საამქროს გამგეებს, ეს მათ ფუნქციას შეადგენს. როგორ უნდა იბრძოლოს ხარისხისათვის ტექნიკური კონტროლის განყოფილებამ, როცა არ იცის ვის ებრძოლოს! ის იბრძვის საერთოდ, ზოგადად, აღნიშნავს წუნის სახეებს, ტექნიკურ მიზეზებს, დაწერს „პრაქტიკულ ღონისძიებებს“ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემცირდეს წუნი, მაგრამ წუნს მაინც არაფერი შველის...

ბოლო ხანებში, მე-17 ყრილობის შემდეგ, პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა ფუნქციონალობის აღმოფხვრისათვის. კერძოდ, აღარ იქნება ტექნიკური კონტროლის განყოფილება. წუნმდებლები უშუალოდ დაემორჩილებიან მხოლოდ საამქროს გამგეს...

აქამდე წუნმდებლები ამოწმებდნენ თავიანთი საამქროს პროდუქციის ხარისხს. ამის გამო ხშირად ადგილი ქონდა უვარგისი პროდუქციის შემდეგი საამქროსათვის ხელში შეჩრას. მხოლოდ ბოლოს, უკვე მზა პროდუქციის შემოწმებისას არკვევენ, თუ რომელი საამქროს მიზეზით იყო გამოწვეული წუნი, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო კონკრეტული დამნაშავის, წუნის მკეთებელი მუშის პოვნა. ამიერიდან ასე არ იქნება. წუნმდებელი კონტროლს გაუწევს წინა საამქროს პროდუქციას, წუნს მაშინათვე უკან დაუბრუნებს და აიძულებს გადააკეთოს. კონტროლის ამგვარად დაყენების დროს უფრო ადვილია კონკრეტული დამნაშავის მონახვაც, რადგან თვითეულ კოჭას, ნაჭერს და სხვ. ზედ აწერია მუშის და დაზგის ნომერი და წუნმდებელი მაშინათვე ამხელს მას.

ისპობა ფუნქციაონალობა თვით მუშათა შორისაც. დღემდე, მაგალითად, ვატერებზე მუშაობენ შემდეგი ფუნქციონერები: ვატერზე დამრთველი, კოჭის მომხსნელი, შიმრთველი, კოჭების გამწყობი და ჩამლაგებელი. ამ 5 სპეციალობიდან რჩება მხოლოდ ორი: ვატერზე დამრთველი და კოჭების მომხსნელი. ამით ბოლო ელება გაუპიროვნებას და ადვილდება წუნის მკეთებლის მოძებნა. დღემდე კი რთვის პროცესში ყველა ურევდა ხელს და ვერ იპოვიდი, თუ ვინ გამოუშვა წუნი.

უქმდება მთელი რიგი ფუნქციონალური განყ.-ები: კადრების, საგეგმო, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის, ტექნიკური უშიშროების და სხვ. საგეგმო განყოფის ნაცვლად ყალიბდება საგეგმო ჯგუფი, რომლის მოვალეობა იქნება სამმართველოდან მიღებული საგეგმო ლიმიტების საამქროებზე განაწილება. სამრეწველო-საფინანსო გეგმებს შეადგენენ საამქროებში მომუშავე მგეგმავები, რომლებიც უშუალოდ საამქროს გამგეს დაემორჩილებიან.

### მუშა-ხელის დენადობა

მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“ ცნობილია მუშა-ხელის ძლიერი დენადობით. იანვარში იქ მიღებულ იქნა 99 კაცი, მუშაობას თავი მიანება 86 კაცმა. თებერვალში მოვიდა 75 მუშა, წავიდა—70. ასე იყო წინათაც. ფაბრიკას თითქმის არ გააჩნია ძველი, კვალიფიციური მუშები. მუშა ვერ ასწრებს დაზგის გაცნობას, ისე სტოვებს ფაბრიკას. როგორ აითვისებს ეს ხალხი ტექნიკას, როგორ დაეუფლება დაზგას? ასეთ პირობებში ნუ თუ ლაყბობა არ არის დაპარაკი იმის შესახებ, რომ ტექმინიმუმის წრეებში გაერთიანებულია მუშათა უმრავლესობა მაშინ, როდესაც ამ **უმრავლესობის უმეტესობა** მეორე და მესამე დღეს სტოვებს ფაბრიკას.

როგორი უნდა იქნეს ასეთ პირობებში პროდუქციის ხარისხი?

ავიღოთ, მაგალითად, საქსოვი საამქრო. მქსოველი აქ ძირითადი საქმია. საამქროში სულ 179 მქსოველია. მათ შორის, სტაჟით 6 თვემდე არის 51 პროცენტი (92 კაცი), 6 თვიდან 1 წლამდე —18,4 პროც., (33 კაცი), 1 წლიდან 2 წლამდე — 20,5 პროც (36 კაცი), 2-დან 3 წლამდე — 10,1 პროც. (18 კაცი). ამგვარად, **ძირითად საამქროში მთავარი პროფესიის მუშათა ნახევარზე მეტი ახლად მოსულებია.** ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ წუნის დიდი პროცენტიც ამ საამქროზე მოდის. ასე, მაგალითად, იანვარში მზა პროდუქციის წუნი შეადგენდა 44 პროც., აქედან—28,67 პროც. გამოწვეული იყო საქსოვი საამქროს მიზეზით. თებერვალში წუნი შეადგენდა 45,2 პროც., აქედან — 29,5 პროც. საქსოვი საამქროს უხეირო მუშაობის შედეგია.

მოყვანილი ციფრები თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ წუნის დიდი რაოდენობა მუშათა დაბალი კვალიფიკაციის ბრალია. ამას არ მალავენ თვით ფაბრიკის ხელმძღვანელებიც.

— რა ვქნათ, განა ასეთი ხალხის იმედით ხარისხის გაუმჯობესება შეიძლება! — ხშირად ამბობს ფაბრიკის დირექტორი ამხ. **ალ. ყამარაული.**

დიახ, რომ არ შეიძლება. მაგრამ საჭიროა მუშების შენარჩუნება ფაბრიკაში, დაზგებზე მიმაგრება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ამას კი „შელოცვები“ ვერაფერს უშველის.

საჭიროა საქმე.

საჭიროა იმ აღმაშფოთებელი მდგომარეობის ლიკვიდაცია, რომელსაც ახლა აქვს ადგილი მუშების ბინით უზრუნველყოფის საქმეში. **მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლებში და ბარაკებში მუშათა მხოლოდ 20—22 პროც. ცხოვრობს.** დანარჩენი მუშები კი ძალიან დაშორებული არიან ფაბრიკას, ან სოფლიდან ჩამოსულან და ადმინისტრაცია ბინას ვერ აძლევს. საერთო საცხოვრებლებსა და ბარაკებში მეტად მჭიდროდ ცხოვრობენ.

აი, დენადობის ნამდვილი მიზეზი!

ჰკითხეთ ამხ. ყამარაულს, თუ რატომ არა აქვთ მუშებს ბინები. იგი გიპასუხებთ: „ყველაფერში დამნაშავეა საფეიქრო ტრესტი. ბინების მშენებლობა მათი საქმეა, მათ ფუნქციაში შედის“. ისევ ფუნქციონალობა აფერხებს საქმეს.

საქართველოს საფეიქრო ტრესტის ხელმძღვანელებს ფაბრიკის აშენების დროს მუშათა ბინებზე არ უფიქრიათ და ეს საკითხი მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა ფაბრიკის მშენებლობა დამთავრდა. 4 წელია მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ მუშაობა დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში დენადობის უმთავრეს მიზეზს მუდამ უბინაობა წარმოადგენდა.

რას აკეთებენ ფაბრიკის სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციები, რას აკეთებენ საფეიქრო ტრესტი და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი? ხომ გარკვეულია, რომ დენადობის მოსასპობად აუცილებელია მუშების ბინებით უზრუნველყოფა? **მარტო იმ თანხით, რომელიც წუნმა და გეგმის შეუსრულებლობამ ჩანთქა, რამდენი მშვენიერი სახლის აგება შეიძლებოდა!**

ნუ თუ კომენტარიები საჭიროა?




ტექნიკური კონტროლის განყ. გამგე—ვისია წუნი?
საამქროს უფროსი—წუნი, მგონია, ორმოცდაათი პროცენტი მაქვს, მაგრამ ვისია არ ვიცი.

### „და ქაღალდიც საქმეში ჩააკერეს“

ასეთი რეპლიკა მისცა ამხ. **სტალინმა** კაგანოვიჩს მე-17 ყრილობაზე. ამ ოთხ სიტყვაში ძალიან ბევრია ნათქვამი. განა იშვიათია ჩვენთან ისეთი მუშაკები, რომლებიც მშვენიერ რეზოლუციებს დაწერენ, გადაწყვეტილებას მიიღებენ, ხოლო შემდეგ მაუდ ქვეშ ამოდებენ, „საქმეში ჩააკერებენ“! ზოგჯერ კი არც დადგენილებაა ხეირიანი და არც შესრულებაზე იწუხებენ თავს...

მაუდის ფაბრიკის პროფორგანიზაცია წუნის წინააღმდეგ ბრძოლას როგორ აუვლიდა გვერდს. 27 თებერვალს ფაბრიკის გაფართოებულ პლენუმზე დასვეს საკითხი საქსოვ საამქროში პირველ და მეორე დეკადაში გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შესახებ, აგრეთვე წუნის მკეთებელთა კონფერენციის ჩამტარებელი კომისიის მოხსენება. როგორი გადაწყვეტილება მიიღო პლენუმმა ამ საკითხზე? აი, როგორი:

„დაისვას დირექციის წინაშე საკითხი, რომ უზრუნველყოს საქსოვი საამქრო საქსოვი დაზგების ნაწილებით.

„წუნის საწინააღმდეგო მუშაობის გაძლიერების მიზნით მიმაგრებულ იქნეს შემდეგ საამქროებზე შემდეგი პასუხისმგებელი ამხანაგები... (ჩამოთვლილია 4 საამქრო და მათზე მიმაგრებული პირები).

„აღნიშნულ მიმაგრებულ ამხანაგებს ევალებათ აიყვანონ აღრიცხვაზე ის მუშები, რომლებიც უშვებენ წუნს. აგრეთვე ადევნონ თვალყური ყოველივე იმ დეფექტებს, რომლის გამო ხდება წუნის გამოშვება და ცნობები აღნიშნული საკითხის შესახებ მიაწოდონ როგორც საფაბრიკო კომიტეტს, ისე ტექნიკური კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელს ამხ. თათარიშვილს“.

რა აზრი აქვს ამ დადგენილებას რისთვის ამაგრებენ ამ პასუხისმგებელ ამხანაგებს საამქროებზე? წუნისმკეთებლების აღსარიცხავად? მაგრამ ეს წუნმდებლების და საამქროს გამგის მოვალეობაა, რა უნდა გააკეთონ მიმაგრებულებმა? შემდეგ პლენუმი მიმაგრებულ ამხანაგებს ავალებს, რომ ცნობები წუნის მიზეზების შესახებ მიაწოდონ ტექნიკური კონტროლის განყოფილებას. მაგრამ ეს განყოფილება, სანამ კიდევ არსებობს, ხომ არის ვალდებული, რომ თითონ იცოდეს წუნის გამომწვევი მიზეზები?

როგორ უნდა შემოწმდეს ამ დადგენილების შესრულება? ან რა საჭიროა საკითხის ასე დასმა? ფაბკომის თავმჯდომარე ამხ. **გრ. კარგაშვილის** განცხადების თანახმად, ფაბკომმა ადრეც იცოდა, რომ მიმაგრებულები ტექნიკური კონტროლის განყოფილებას არაფერში დაეხმარებოდენ, მაგრამ მიმაგრება მაინც საჭირო იყო: რადგან საკითხი დაისვა — გადაწყვეტილებაც უნდა მიგვეღოთ.

დიახ, დადგენილება დაიწერა იმიტომ, რომ რამე დაეწერათ!

ასე რომ არ იყოს, 12 დღის განმავლობაში (27 თებერვლიდან 11 მარტამდე) ეს დადგენილება მემანქანეებთან რატომ ეგდო დაუბეჭდავად. არც ერთ მიმაგრებულს, არც ერთ საამქროს გამგეს იგი ხელში დღემდე არ აქვს.

რა ფასი აქვს ასეთ დადგენილებას?

პროფორგანიზაციის სწორედ ამგვარი ხელმძღვანელები ჰყავდა მხედველობაში ამხ. კაგანოვიჩს, როდესაც თავის მოხსენებაში მე-17 ყრილობაზე ამბობდა:

„მათ არ შესწევთ უნარი გამოავლინონ და განაზოგადონ ფაქტები. პროფკავშირებს ლოლინის ემპირიზმი... ისინი მუშაობენ, ისინი ფუსფუსებენ, ისინი ცდილობენ. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს განაზოგადონ და გაატარონ ცხოვრებაში ის, რასაც სახავენ“.

ლაყბობიდან—საქმეზე! — ასეთია დასკვნა.

**ჟურუა.**

„მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ" (სტალინი)

# რევოლუციური კანონის მთელი სიმკაცრით აღიკვეთოს დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა პირუტყვის მოვლასა და დაცვაში

## ორი მაგალითი

(გურჯაანი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გურჯაანის „ოქტომბრის რევოლუციის" სახ. კოლმეურნეობის მეღორეობის სასაქონლო ფერმა პირნათლად და გეგმიანად იბრძვის მეღორეობის განვითარებისათვის.

ეს ფერმა 1930 წელს ჩამოყალი- [illegible]

[illegible] მოვშორებივარ და ისე შემიყვარდა ეს მუშაობა, რომ თავს ველარ ვანებებ. თვითეულ ბურვაკსა და გოჭს თვალის ჩინივით ვუვლი, დროზე ვაჭმევ, ვასუფთავებ, ვასმევ წყალს გახურვეტელივ თავს დავტრიალებ და განა რა [illegible]

[illegible] ლი შეუფერებელია თავისი თანამდებობისათვის. იგი არა კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობას. მისი უხეირო მუშაობის შედეგად 1933 წელს ფერმას დაეღუპა 28 ღორი. რამდენიმე დღის წი- [illegible]

[illegible] თუმ მცოდნე და გულშემატკივარი.

ჩვენს შეკითხვაზე თუ როგორ მიაღწია ნამატის ასე დიდ შენარჩუნებას, ფროდიაშვილმა გვიპასუხა:

— 12 წლის ვიყავი როცა ღორში წავედი, მას შემდეგ ამ საქმეს არ [illegible]

[illegible] რმის მოწყობიდან დღემდე კოლმეურნეობის გამგეობას ერთჯერაც არ განუხილავს ფერმის საკითხი, არ შეუმოწმებია მისი მდგომარეობა არ დაუსახავს ღონისძიებები ფერმის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ფერმის გამგე ვანია ომსარაშვი- [illegible]

[illegible] გურჯაანის რაიმიწგანის პასუხისმგებელ მუშაკებმა და კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" ხელმძღვანელებმა, თუ მათ სურთ ზემოაღნიშნული ფერმის გამოყვანა კრიტიკული მდგომარეობიდან.

ვ. ჭოჭუა

## კონკურსი საუკეთესო მწყემსზე

### ზუგდიდი

(საკ. კორ.) რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლ. როგავას თავმჯდომარეობით, მოეწყო მიწგანის, „უაზახიში გაზეთის", „სტალინელის" (პოლიტგანყოფილების გაზეთია), პოლიტგანყოფილებების და მესაქონლეობის გაერთიანებების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც დაწვრილებით განხილულ იქნა გაზ. „კომუნისტის" და საქ. მიწსახკომის მიერ საუკეთესო მწყემსზე გამოცხადებულ კონკურსის პირობები. თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებები კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის.

აქვე გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა კონკურსის ხელმძღვანელობა. კომისია გამოყოფილ იქნა ამხ. ლ. როგავას (თავმჯდომარეთ), ორხანტიას მესაქონლეობის ფერმის წარმომადგენელი ამხ. მიქელაიას, რაიკომის, რაიმიწგანის, „უაზახიში გაზეთის" და „სტალინელის" წარმომადგენელთა შემადგენლობით კონკურსის პირობების დასამუშავებლად მესაქონლეობის ფერმებზე მიმაგრებული ერთან კომისიის წევრები.

საუკეთესო მწყემსების დასაჯილდოებლად ადგილობრივ გადადებულია 2000 მანეთი. კონკურსის უკეთ ჩატარებაზე ზუგდიდის რაიონმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სენაკის რაიონი

ქ. შეროზია.

### სტალინისი

(საკ. კორ.) შაქრის კომბინატთან არსებულ სარძეო - სასაქონლო ფერმაში დამუშავდა გაზ. „კომუნისტის" და საქ. მიწსახკომის მიერ საუკეთესო მწყემსზე გამოცხადებულ კონკურსის პირობები.

კრებას დაესწრენ სარძეო - სასაქონლო და მეღორეობის ფერმების ყველა მუშები. კრებამ დაადგინა ჩაებან კონკურსში, იბრძოლონ წამოყენებულ პირობების უკეთ შესრულებისათვის და ყოველმხრივ გააუმჯობესონ პირუტყვის მოვლა.

კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად ადგილობრივ დაწესებულ იქნა ორი ჯილდო.

ტ. გოზალოვი.

### თელავი

(საკ. კორ.) საქ. მიწსახკომისა და „კომუნისტის" მიერ გამოცხადებულ კონკურსს საუკეთესო მწყემსზე, თელავის რაიონის ორგანიზაციები სასწრაფოდ გამოეხმაურენ. კონკურსის პირობების მიღებისთანავე რაიმიწგანთან ჩამოყალიბდა საკონკურსო კომისია, რომელმაც თავის წარმომადგენლები გაგზავნა კოლმეურნეობებში კონკურსის მიზნისა და ამოცანების დასამუშავებლად.

კონკურსის პირობები უკვე დამუშავდა აფარეულის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობათა 8 ფერმაში, ფშაველის კოლმეურნეობათა ფერმებში, სოფ. ახმეტაში და მატანში.

კონკურსს განსაკუთრებული ინტერესით შეხვდენ სოფ. ხანიორის კოლმეურნეობის ჯიშიანი მეღორეობის ფერმის მწყემსები, რომლებმაც იკისრეს ვალდებულება მთლიანად შეასრულონ კონკურსის პირობები.

კონკურსის პირობების დამუშავების დროს, ლაფანყურის კოლმეურნეობაში, რომელსაც აქვს მეძროხეობის, მეცხვარეობის, მეღორეობის, მეცხენეობის და მეფუტკრეობის ფერმები. გამოირკვა, რომ მეძროხეობის ფერმაში 28 ძროხიდან 7 ძროხას მოუგია მკვდარი ხბო. იორქშირის ჯიშის სამი კერატი მეღორეობის ფერმაში ისე დასუსტებულია, რომ ფეხზე ძლივს დადის.

ფერმათა გამგეები ამ მდგომარეობას გულგრილად უცქერიან. მეძროხეობის ფერმის გამგე დავით ხორნაულმა განაცხადა:—ეხლა ძროხას საჭმელის მიცემა რათ უნდა, ტყეშიაც ბევრს შოულობსო

ქ. ჩარკიანი.

### ლაგოდეხი

შიაურის მეღორეობის საბჭ. მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა საერთო კრებამ, პოლიტგანყოფილების ინიციატივით დაამუშავა საქ. მიწსახკომის და „კომუნისტის" მიერ საუკეთესო მწყემსზე გამოცხადებულ კონკურსის პირობები.

კრება ერთხმად მიესალმა მიწსახკომის და „კომუნისტის" ინიციატივას, დაადგინა მეურნეობის თვითეული მუშა აქტიურად ჩაებას კონკურსში, გადაჭრით იბრძოლოს ბოჭიანობის წარმატებით ჩატარების, ნამატის შენარჩუნების და ღორების წონის გადიდებისათვის.

კონკურსის პირობები დამუშავებულ იქნა ცალკე ბრიგადებში, რომლებმაც უკეთესი რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მოპოვების მიზნით ერთმანეთი გამოიწვიეს სოცშეჯიბრში.

მწყემსმა მეღორეებმა იკისრეს ვალდებულება წლის განმავლობაში თვითეულ დედაღორიდან, კონკურსის პირობებში გათვალისწინებულ 6 გოჭის ნაცვლად საშუალოდ შეინარჩუნონ 7—8 გოჭი და სახელმწიფოსათვის საბეკონედ ჩასაბარებელ ღორის ცოცხალი წონა ჩაბარების დროისათვის საშუალოდ 130 კილოგრამამდე აიყვანონ.

ალ. ქავთარაძე.



ურაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო დამკვრელი მწყემსი ამხ. ს. ჩანკალიშვილი

### მარტვილი

საქ. მიწსახკომისა და „კომუნისტის" რედაქციის მიერ გამოცხადებულ კონკურსს მარტვილის რაიონი დღემდე აქტიურად არ გამოხმაურებია. საუკეთესო მწყემს-მეძროხეზე, მეცხვარეზე, მეღორეზე და მეჯინიბე-მეჯოგეზე.

კონკურსის პირობები დამუშავებული არ არის არც ერთ საკოლმეურნეო ფერმაში რაიმიწგანს არ ყავს ზოოტექნიკოსი და პასუხისმგებლობას არავინ გრძნობს. მიწგანის უფროსმა აგრონომმა პ. ჯანჯღავამ კონკურსის პირობებს წააწერა ბიუროკრატიული რეზოლუცია: „ამხ. ციცხვაძე! შეადგინეთ სარაიონო გეგმა და წარმოადგინეთ პრეზიდიუმზე დასამტკიცებლად". უფროსმა აგრონომმა ჯანჯღავამ ისიც კი არ იცის, რომ ზოოტექნიკოსი ციცხვაძე ერთი თვეა, რაც მოხსნილია სამუშაოდან, ხოლო სამაგიერო რაიმიწგანს არ აუყვანია.

კონკურსის საუკეთესოდ ჩატარებაზე სენაკის რაიონმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია, მარტვილის რაიონი, მიუხედავად ამისა მარტვილის რაიმიწგანი მაინც ოპორტუნისტულად ეკიდება კონკურსს და პასუხს არ აძლევს სენაკის რაიონს სოცშეჯიბრებაში გამოწვევაზე.

მარტვილის პარტრაიკომმა და რაიაღმასკომმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები რაიმიწგანის უმოქმედობის აღსაკვეთად

შ. ქაჯულია.

## უპატრონო ხარები

(ცაგერი, „კომუნისტის" საკ კორესპონდენტისაგან)

ცაგერის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს მუშა-პირუტყვისადმი დანაშაულებრივ მოპყრობას. სოფ. ბარნალის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ერ. ხაბულიანი) გასულ წელს ხარებს დაუზოგავად ხედნიდენ, ხოლო მუშაობის შემდეგ ხშირად უსაკვებოდ და მოუვლელად ტოვებდენ. კოლმეურნეობის გამგეობა სათანადო მზრუნველობასა და თვალყურს არ იჩენს მუშა-საქონლისადმი. პირუტყვი მთელი ზამთრის განმავლობაშიაც ნახევრად მშიერი და მწყურვალი ემწყვდია ჭაობიან ადგილზე აშენებულ ბოსელში. ეს ბოსელი იმდენად ვიწროა, რომ საქონელი ერთიმეორეზეა მიკრული და მთელი დღეების განმავლობაში ვერ ახერხებს. დაწოლას. კოლმეურნეობას არ ყავს გამოყოფილი საქონლის პასუხისმგებელი მომვლელები. მოუვლელობისა და საკვების უქონლობის გამო 8 უღელი ხარი მეტად გამხდარია მათ შორის სამი უღელი იმდენად დასუსტებულია რომ საგაზაფხულო თესვაში მუშაობას ვერ შესძლებს.

უარესი მდგომარეობაა სოფ. ზედა ცაგერის კოლმეურნეობა „25 თებერვალში" (თავმჯდომარე მ. ჩხეტიანი). 1933 წლის დასაწყისში მას ყავდა 33 სული მუშა - საქონელი, ეხლა კი მხოლოდ 28 სული ყავს. ამ დანაკლისს გამგეობის თავმჯდომარე უბრალოდ ხსნის: — ოთხი ხარი მუშაობით გაილახა, დაავადმყოფდა და დავკალით.

ნამდვილი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ გასულ წელს ხარები მტაცებლურად ხედნეს, საკვებს არ აძლევდენ, ხოლო როცა საქონელი დასუსტდა, კვების გაძლიერებისა და დასვენების ნაცვლად დაკლეს. კოლმეურნე კ. ჩარკვიანის, მდივანის, და მ. ჩხეტიანისთვის, რომლებსაც ეს ხარები ებარათ, პასუხი არავის მოუთხოვია.

1 ხარი კლდეზე გადავარდა და მოკვდა. ამ ხარის მწყემსებად გამოყოფილი იყვნენ ლ. გოგიძე და ტ. თუთისანი, რომლებსაც საქონელი უთვალყუროდ ყავდათ გაშვებული და თვითონ საკუთარ საქმეს აკეთებდენ მახლობელ ტყეში. გამგეობას არც მათთვის მოუთხოვია პასუხი.

გამგეობის თავმჯდომარე ჩხეტიანი არამც თუ პასუხს არ თხოვს, პირიქით, ამართლებს მათ: ხარი კლდეზე გადავარდა, მწყემსები აქ რა შუაში არიანო.

გამგეობას აზრადაც არ მოსვლია დაკლული და დაღუპული ხარების სამაგიეროს შეძენა. დაკლულ ხარებში გამგეობამ 4.000 მანეთამდი აიღო და სამაგიერო ხარების შეძენის ნაცვლად ეს ფული სხვა დანიშნულებაზე გამოიყენა.

ამჟამად კოლმეურნეობას ყავს 28 ცალი ხარი, რომლებიც მოუვლელად არიან მიტოვებული. ცალკე კოლმეურნეები გამგეობის დაუკითხავად ხედნიან ამ ხარებს და უდიერად ეკიდებიან მათ. საგაზაფხულო თესვა კარზეა მომდგარი და მუშა-საქონელი ჯერ კიდევ არ არის გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე.

ნუ თუ ყოველივე ეს არ შეეხება ცაგერის მიწგანს?!

გ. ყურაშვილი.

## „მთავარი ფიგურა" სუსტობს

(გორი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მწყემსი მეცხოველეობაში მთავარი ფიგურაა. მწყემსისაგან, რომელიც დღე და ღამე თავს უნდა დასტრიალებდეს პირუტყვს, არის უმთავრესად დამოკიდებული ნამატის შენარჩუნება, მისი გამოზრდა, ეპიზოოტიის თავიდან აცდენა და პირუტყვის სწრაფი გამრავლება.

ეცნობით სოფ. ბერბუკის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მდგომარეობას დარწმუნდებით, რომ აქ სწორედ ეს მთავარი ფიგურა — მწყემსი არ დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. აი მაგალითად, რას აცხადებს აღნიშნული ფერმის მეღორე—მწყემსი ს. კუპატაძე.

— მიმდინარე წლის იანვრის პირველ რიცხვებიდან ვმუშაობ ამ ფერმაში, წინად ღორებისათვის არასოდეს არ მომივლია. ღორების მოვლისა და კვების წესები არც ეხლა ვიციო.

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ფერმის 8 დედა ღორი, 2 კერატი, 4 მოზარდი ღორი 5 გოჭი 3 თვის განმავლობაში არც ერთხელ არ გაუსუფთავებიათ. ღორებს ჭუჭყი ჭამს. ფერმაში გაუვალი ტალახია, შესავალში ნაგავი ყრია.

ისმება საკითხი, სად არის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კოსტა აბალაკი, სად არის პარტუჯრედის მდივანი ნ. აბალაკი, ფერმაზე მიმაგრებული ბრიგადირი გ. მერაბიშვილი?

— ყველანი სოფ. ბერბუკში არიან: მათ ნახავთ მინდორში, კოლმეურნეობის საკარმიდამოზე, გზის პირად, მზეზე, სალაზლანდაროდ, მაგრამ იშვიათად მეღორეობის ფერმაში, მწყემსთან, ღორებთან.

ღორების ცუდ მოვლაში დამნაშავეა არა მარტო მწყემსი და ისიც გამოუცდელი, არამედ კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ამხანაგებიც.

აი საქმისადმი დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის შედეგი'

6 მარტს. ღამით ფერმაში გაბერწდა დედა - ღორი, რომელმაც დაყარა 9 მკვდარი და 3 ცოცხალი გოჭი. მოუვლელობით და დაუდევრობით 3 გოჭიც იმავე ღამეს დაიხოცა.

— 6 მარტს, საღამოთი — აცხადებს მწყემსი კუპატაძე, მე გადავედი სოფელში და შევატყობინე ფერმაზე მომაგრებულ კოლმეურნეობის ბრიგადირ მერაბიშვილს, რომ ერთ დედა ღორს მუცელი ტკიოდა და საჭირო იყო დახმარება ჩემს თხოვნას მერაბიშვილმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ხელცარიელი გამომისტუმრა, მითხრა—ხვალ მოვალო.

— იმ ღამეს — განაგრძობს კუპატაძე, — დედა ღორი გაბერწდა, 3 გოჭი ცოცხალი იყო, ცოტა ხანს მათ რძეს ვაწოვებდი, მერე მივატოვე. უკან, რომ მივბრუნდი, ისინიც მკვდრები დამიხვდნენო.

ღორებს თავის დროზე არ აძლევენ საკვებს; ამის გამო ღორები ღამით მოუსვენრად არიან, სადგომებიდან ხტებიან. სხვათა შორის ამას უნდა მიეწეროს, რომ ღორები თავის „მომვლელს" ახლოს არ იკარებენ. მომვლელი კუპატაძეც არ ეკარება ღორებს.

— ჩვენ ხომ ვერ გადავყვებით (!) ღორებს, საკვებს მათ შესაძლებელ ფარგლებში ვაძლევთო, — უპასუხისმგებლოდ აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. აბალაკი.

როგორც კოლმეურნეობაში გვაცხადეს, გასული სამი თვის განმავლობაში ფერმაში არ მისულა რაიონის არც ვეტექიმი და არც ზოოტექნიკოსი.

გორის სამ. - სატრ. სადგურის დირექცია, რომელიც მომსახურეობას უწევს ხსენებულ კოლმეურნეობას, და რაიმიწგანი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ, ზემოაღნიშნულ საკოლმეურნეო ფერმას. არ ჩანს მათი ფხიზელი თვალი, საჭირო დახმარება.

ამ მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად მოუთმენელია. გორის სამ. სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილება უშუალოდ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და მიიღოს გადამჭრელი ზომები ბერბუკის მეღორეობის ფერმაში არსებულ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ძირშივე აღსაკვეთად.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საქმის მცოდნე, გულშემატკივარი, ენერგიული მწყემსი მეღორეების შერჩევას ფერმაში შრომის მოწესრიგებას და გაუპიროვნების აღკვეთას.

ვ. მთვრალაშვილი.

## მეტი ყურადღება მეცხენეობას

მე-17 პარტყრილობამ გადაუდებელ ამოცანად დასახა მეცხენეობის პრობლემის უახლოეს დროში გადაჭრა. „1934 წელი უნდა გახდეს და შეუძლია გახდეს აღმავლობის წლად მთელ მეცხოველეობის მეურნეობაში" — მიგვითითა ამხ. სტალინმა. ამხ. ვოროშილოვმა ნათლად დასახა ცხენის უდიდესი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის, ტრანსპორტისა და თავდაცვის საქმისათვის.

ყალბია და მავნეა ის შეხედულება, თითქოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარებასთან ერთად ცხენი დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ჩვენ პრაქტიკიდან ვიცით, რომ ტრაქტორი და ცხენი განუყრელი მეგობრები არიან, რომელიც ერთი მეორეს ავსებენ. ჩვენი ქვეყნის რელიეფი გადაჭრით მოითხოვს, რომ განვითარებულ მექანიზებულ სატრანსპორტო საშუალებებთან და ტრაქტორთან ერთად, საკმაოდ მოგვეპოვებოდეს ცოცხალი გამწევი ძალაც, რომელთა შორის ერთი პირველ ადგილთაგანი ცხენს უკავია.

მეცხენეობას ჩვენში მეტად მკრთალი ისტორია აქვს. საქართველოს სოფლის მეურნეობაში ცხენი, როგორც გამწევი ძალა ძლიერ სუსტად იყო გამოყენებული. ცხენს უმთავრესად გაბატონებული კლასი აშენებდა პრიმიტიული წესით და ინახავდა როგორც ფუფუნების საგანს.

ნამდვილი სერიოზული მუშაობა მეცხენეობის ფართოდ განვითარებისათვის საქართველოში დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მეცხენეობის მასობრივად გაფართოების ძირითად გზად დასახულ იქნა ადგილობრივი ჯიშიანი ცხენის შექმნა. ამ მიზნით მოეწყო ცხენთსაშენები მუხროვანსა და ყულარში, მოეწყო ტფილისის სახელმწიფო საჯინიბო, რომლებიც ყოველწლიურად გზავნიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სავრილებელ პუნქტებზე ჯიშიან მწარმოებელ ულაყებს. 1933 წელს მოეწყო ახალი ცხენთსაშენი ყარაიაში. ამჟამად ხანაშენო ცხენების რაოდენობა სამივე ცხენთსაშენში 1.000-მდე აღწევს.

გასულ წელს სახელმწიფო საჯინიბოს მიერ საქართველოში მოწყობილ იქნა 32 საგრილებელი პუნქტი, 75 ჯიშიანი ულაყით.

მეცხენეობის, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგების სწრაფი და ორგანიზებული განვითარების საშუალებას და ფორმას წარმოადგენს კოლექტიური მეურნეობა; მეურნეობის ამ სახეს საქართველოს მეცხენეობაში უკვე მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა. დღეს უკვე გვაქვს მეცხენეობის 21 საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმა.

ამრიგად მემკვიდრეობით მიღებულ, გაპარტახებულ მეცხენეობის მეურნეობიდან საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე შექმნა აუცილებელი დასაყრდენი, სამომშენებლო ბაზა, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს ჯიშიანი ცხენის მასობრივად მოშენებას.

პარტიამ და ხელისუფლებამ ამ მიმართულებით დასახა სერიოზული პრაქტიკული ღონისძიებები: საკავშირო მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველოს შემუშავებული აქვს 1934 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მეცხენეობაში ჩასატარებელ ღონისძიებათათვის გამოყოფილია 1.400.000 მანეთი.

ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას მეცხენეობის, ისევე როგორც მეცხოველეობის დანარჩენ დარგებში წარმოადგენს დაგრილების კამპანიის სწორი ორგანიზაცია და ჩატარება. საქ. მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველო (ყოფილი ცხენთსაშენის განყოფილება) მის განკარგულებაში მყოფ ჯიშიანი ულაყებით ყოველწლიურად აწყობდა საგრილებელ პუნქტებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, და თვალსაჩინო მიღწევებიც მოიპოვა ამ მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევენ ამ საქმეს. გასულ წელს მაგალითად თელავის და ყვარელის რაიონებმა დაგრილების კამპანიის დასაწყისშივე მოხსნეს საგრილებელი პუნქტებიდან ჯიშიანი ულაყები და უკან დააბრუნეს, იმ „მიზეზით", რომ ვითომ რაიონს არ ქონდა საშუალება (საკვები), დაგრილების სეზონში შეენახა 1—2 მწარმოებელი ულაყი. ასეთივე ფაქტებს ქონდა ადგილი ზოგიერთ სხვა რაიონში (ქუთაისი, სამტრედია, სენაკი, ბოგდანოვკა და სხვ.) და მეცხენეობის განყოფილება იძულებული გახდა, თვითონ მიეცა ამ რაიონებში მწარმოებელ ულაყებისათვის საკვები, რომ თავიდან აეცდინა დაგრილების კამპანიის ჩაშლა.

საქმისადმი ასეთი მიდგომა მხოლოდ უპასუხისმგებლობით და ხელისუფლების ამ დიდი ღონისძიების შეუფასებლობით აიხსნება.

მიმდინარე წელიწადი ამ მხრივ უნდა დაიქცეს გარდატეხის წლად. დაუგრილებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი კვიცის მოგები, ჯინარის მქონე ფაშატი.

საქ. მიწსახკომის გეგმით წელს საქართველოში (გეგმიანი წესით) დაგრილებული უნდა იქნეს 27.000 ფაშატი. ეს დავალება საქ. მიწსახკომის და მეცხენეობის სამმართველოს მიერ დამუშავებული და დაყვანილია რაიონებამდე. ადგილებს მიეცათ საჭირო მითითებები და ინსტრუქციები.

აღნიშნული გეგმის შესასრულებლად წელს საჭიროა 1000-მდე მწარმოებელი ულაყი. საქ. მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველო თავის საჯინიბოებიდან და ცხენსაშენებიდან გზავნის რაიონებში 100 ჯიშიან ულაყს, რომლებიც 4.000-მდე ფაშატს დააგრილებენ ფაშატების დანარჩენი რაოდენობა დაგრილებულ უნდა იქნას ადგილობრივი ულაყებით.

სტატისტიკური ცნობების თანახმად, ადგილებზე მოიპოვება ულაყების საკმარისზე გაცილებით მეტი, რაოდენობა. საჭიროა მხოლოდ ამ ულაყების გამონახვა და მომზადება, რომ გეგმიანად იქნან გამოყენებული.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონების უმეტესობა წელსაც შეუფასებლობას იჩენს დაგრილების კამპანიისადმი და დავალების თავიდან მოშორების მიზნით, ატყობინებენ მიწსახკომს, რომ მათ რაიონში ჯიშიანი ულაყები არ მოიპოვება, აღრიცხვას ვერ ჩაატარებენ და სხვა.

ამ უპასუხისმგებლო ოპორტუნისტულ მიდგომას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ადგილობრივმა სამიწადმოქმედო ორგანოებმა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა უზრუნველყონ მათ რაიონში არსებულ ულაყების შემოწმება, შეარჩიონ უკეთესი ულაყები, გააუმჯობესონ მათი მოვლა - კვება. თვითეულ ულაყს მისცენ გარკვეული დავალება და ამ რიგად უზრუნველყონ დაგრილების კამპანიის წარმატებით ჩატარება.

ჩვენს მეცხენეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს ჯერ კიდევ ვერ ეწევა საჭირო ხელმძღვანელობა და დახმარება. ამ ფერმებს არა ყავთ მეცხენეობის საქმის მცოდნე კადრები. გასულ წელს მეცხენეობის სამმართველომ ჩაატარა მეცხენეთა ფერმების გამგეთა მოსამზადებელი ერთთვიანი კურსები, რომელიც 12 კოლმეურნემ გაიარა. ცხრა კოლმეურნეობამ ამ კურსებზე არ გამოგზავნა თავისი კანდიდატი.

მეცხენეობის მასობრივი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება მეცხენეობის განვითარების ერთ ძირითად და ჯერ კიდევ გადაუჭრელ პირობას წარმოადგენს, რომლისკენაც მიქცეული უნდა იქნეს ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება.

მეცხენეობის განვითარების ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს შრომის მოწესრიგება მეცხენეობის სასაქონლო ფერმებში, კოლმეურნეობებში, საბჭ. მეურნეობებში და ყველა ორგანიზაციებში, სადაც ცხენია, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ყავთ ცხენები, აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მეცხენეთა ბრიგადები, რომლებიც პერსონალურად იქნებიან პასუხისმგებელი ცხენის მოვლა - შენახვისა და გამოყენების საქმეში. საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს გაუპიროვნება ცხენის მოვლა - პატრონობისა და ექსპლოატაციის საქმეში.

გადაჭრით უნდა აღიკვეთოს ცხენების მტაცებლური ექსპლოატაცია, რაც სპობს და ანადგურებს ცხენს.

ამრიგად დაგრილების კამპანიის სწორად, გეგმიანად ჩატარება, მეცხენეთა კადრების მომზადება, მეცხენეობის საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმების ორგანიზაციული განმტკიცება, გაუპიროვნების მოსპობა, ცხენის მტაცებლური ექსპლოატაციის აღკვეთა და მზრუნველობა ჯანსაღი ცხენისათვის — აი ძირითადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხენის სწრაფ გამრავლებას.

[illegible]

## სანამდე უნდა იყოს ცხვარი უწყლოდ

(წერილი ტარიბანის საძოვრებიდან)

მესაქონლეობის განვითარებისათვის, საკვების ბაზის შექმნასა და საძოვრების სწორ განაწილება-გამოყენებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყალის საკითხს. საქონლის მოშენება შეუძლებელია თუ საძოვრებთან და საკვებთან ერთად პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის წყალით.

წყალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხვრის დოლიანობის დროს. თიანეთის, დუშეთის და ნაწილობრივ სიღნაღის რაიონის პირუტყვს განსაკუთრებით კი ცხვარს ზამთრობით სიღნაღის რაიონის ტარიბანის და ბურღლის მიდამოებში ინახავენ. აღნიშნულ საზამთრო საძოვრებზე ამჟამად 40.000-ზე მეტი მსხვილფეხა საქონელი და ცხვარი იმყოფება. აქვე ტარდება დოლი. მაშასადამე თუ გვინდა რომ ნამატი მაქსიმალურად შევინარჩუნოთ, საკვებთან ერთად ცხვარი აქ უნდა უზრუნველვყოთ სუფთა და ჯანსაღი წყალით.

მართალია ტარიბანის და ბურღლის საძოვრებზე მყოფი საქონლის ნაწილი წყალით მდინარე იორიდან სარგებლობს, მაგრამ ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია. ამ საძოვრებზე მოთავსებული საქონლის დიდი უმეტესობა კი თითქმის უწყლოდ არის და იძულებულია ან ცუდი წყლით ისარგებლოს, ან წყალისათვის შორ მანძილზე წავიდეს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საქონლის ჯანმრთელობაზე და ნამატის შენარჩუნებაზე, განსაკუთრებით დოლის პერიოდში.

ამ მდგომარეობის გამოსაკეთებლად პარტიისა და ხელისუფლებას მიღებული აქვთ პრაქტიკული ღონისძიებები: ტარიბანის და ბურღლის მიდამოებში წყალის გასაყვანად საქ. მიწსახკომის ჰიდროლოგიურ სექციის მიერ გაგზავნილია ინჟინერი ჯაიანი, რომელიც უკვე ორი თვეა მუშაობს.

ეხლა უკვე ბევრი რამ უნდა იყვეს გაკეთებული, ფაქტიურად კი ჯერჯერობით თითქმის არაფერი გაკეთებულა.

ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ თავიდან საჭირო ყურადღება არ მიექცა ამ საქმის ორგანიზაციულ მხარეს. თიანეთის და დუშეთის რაიონებმა, რომლებიც ამ საქმით არსებითად არიან დაინტერესებული, უკანასკნელ დღეებამდე არც კი იცოდენ რომ მიწსახკომს წყალი გაყავს ტარიბანის და ბურღლის საძოვრებზე. არავინ ზრუნავდა მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვებაზე რის გამოც საქმის დამთავრება გაჭიანურდა.

სიღნაღის, დუშეთის და თიანეთის რაიონებმა სასწრაფოდ უნდა გაგზავნონ ამ სამუშაოებზე მუშახელის საჭირო რაოდენობა, გაგზავნონ აგრეთვე თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ უხელმძღვანელებენ საქმეს და უზრუნველყოფენ წყალის გამოსაყვანად დაწყებული მუშაობის სასწრაფოდ დამთავრებას.

თუ სიღნაღის, დუშეთის და თიანეთის რაიონებში ამ საქმეზე მუშახელის საჭირო რაოდენობას გაგზავნიან, წყალის გაყვანა დამთავრდება 20 დღეში და დოლის დროს აქ ცხვარი უზრუნველყოფილი იქნება სუფთა, ჯანსაღი წყალით და ნამატის შენარჩუნების საქმეც დიდად გაუმჯობესდება.

ვ. ხატიაშვილი.

# ესპანეთი სამოქალაქო ომის წინ

## კომპარტია არალეგალურ მდგომარეობაში

**ლონდონი**, 12 მარტი. მთელი პრესა აქვეყნებს რეიტერის სააგენტოს ცნობას (მადრიდიდან), რომელიც მდგომარეობას ესპანეთში ახასიათებს როგორც „სამოქალაქო ომის წინადღეს“. მადრიდის ქუჩებში დილიდანვე მიმოდიან პოლიციის ცხენოსანი რაზმები.

გაფიცვების ტალღა სწრაფად ედება პროვინციებს. ვალენსიაში გაიფიცნენ რკინიგზელები. კატალონიაში ძლიერდება მოძრაობა მადრიდის პროლეტარიატისათვის მხარის დასაჭერად კატალონიის პროლეტარიატის გამოსვლის სასარგებლოდ. გამოვიდა გაზეთი „კომბატო“ — ორგანო პროფკავშირებისა, რომლებმაც გასწყვიტეს კავშირი ანარქისტულ ხელმძღვანელობასთან, რადგან უკანასკნელი ოპოზიციაში უდგას ერთიან ფრონტს. მთავრობამ შემოიღო მკაცრი ცენზურა.

სასამართლო ხელისუფლების დადგენილებით დაშლილია შრომის ანარქისტ-სინდიკალისტური ნაციონალისტური კონფედერაცია.

მადრიდში დაიწყო მბეჭდავთა საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც შეუერთდა გაზეთების ყველა გამყიდველი. მთავრობის ოფიციალური [illegible] არ გამოსულა. მშენებელთა და მელითონეთა გაფიცვა გრძელდება მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელები დააპატიმრეს. დაპატიმრებულია მრავალი კომუნისტი.

კომუნისტური პრესა აკრძალეს, თუმცა მთავრობას ოფიციალურად არ განუცხადებია კომპარტიის დაშლის შესახებ, მაგრამ მის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს შედეგად მოჰყვა ის, რომ კომპარტია ფაქტიურად არალეგალურ მდგომარეობაშია. კომპარტია და რევოლუციური პროფოპოზიცია აწყობენ საგაფიცვო მოძრაობას.

სოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაცია დაშლილი იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდობის მასები მიემხრენ ერთიან ფრონტს, რომელსაც ხელ ღვანელობენ კომპარტია და კომკავშირი (ადს).

# ზევერინგი გადაბარგდა ფაშისტების ბანაკში

„კარლ ზევერინგი, პრუსიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთერთი უდიდესი ბელადი, ულშტეინის გამომცემლობის საშუალებით უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს წიგნს, რომელშიაც იგი კავშირს სწყვეტს მარქსიზმთან და ამართლებს ჰიტლერის რეჟიმს...

კარლ ზევერინგმა 1932 წლის 20 ივლისს წამოაყენა წინადადება, რომ ბრაუნის მთავრობას ქედი მოეხარა მხოლოდ მისი სისუსტე იყო იმის მიზეზი, რომ პრუსიის მინისტრებმა, თუმცა მათ სავსებით შეეძლოთ დაყრდნობოდენ თავის პოლიციის ძალებს, უარი თქვეს დაეცვათ თავი იარაღით, ეს საშიში იქნებოდა. პაპენის მხრივ კონსტიტუციის დარღვევის წინააღმდეგ. ბ-ნი ფონ-პაპენი შეშინებული იყო საკუთარი სიმამაცით და პრეზიდენტს არასოდეს არ მოუვიდოდა აზრად დაეძრა რეიხსვერი პოლიციური ნაწილების წინააღმდეგ, ხოლო ამ წარმოუდგენელ შემთხვევას კიდეც რომ ჰქონოდა ადგილი მუშათა კლასი მთელს ქვეყანაში მზად იქნებოდა ბრძოლისათვის. „რესპუბლიკური ფრონტის კავშირს“ ჰქონდა იარაღი, ხოლო რკინის ფრონტი მაშინ უკეთესად იყო დარაზმული, ვიდრე როდისმე. თუ სისუსტე როდისმე ნიშნავდა ბოროტმოქმედებას, ეს სწორედ ამ დღეს...

ვურჩევნია ზევერინგისთვის! ულშტეინის გამომცემლობა უკვე დიდი ხანია ჰიტლერის გამომცემლობას წარმოადგენს ულშტეინის ფული ჰიტლერის ფულია ჰიტლერის ფულით კარლ ზევერინგი დღეს თავის წარსულ აფურთხებს...“ (გეორგ ბერნგარდის წერილიდან „პარიზერ ტაგებლატში“).

„იზვესტია“.

# სოც ალ-ფაშ. სტების ბელადები ხოტბას ასხამ ნ ფაშიზმს

**ბერლინი**, 10 მარტი. ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტების ჩადგომის წლისთავის აღსანიშნავად, კისლაუს და ანკენბურგის (ბადენი) საკონცენტრაციო ბანაკებიდან განთავისუფლებულ იქნა 40 პატიმარი, კერძოდ ბადენის ყოფილი მინისტრი რომელე და კიდევ მთელი რიგი ცნობილი სოციალ-დემოკრატები. როგორც საინფორმაციო ბიურო იტყობინება მათ ნებაყოფლობით განაცხადეს, რომ „ძირფესვიანად შეცვალეს თავისი დამოკიდებულება ნაციონალ-სოციალიზმისადმი და აღიარებენ, რომ მხოლოდ ნაციონალ-სოციალიზმს შეუძლია გერმანიის ხსნა“ (ადს).

# ცარიელი ფრაზები ენერგიული მოქმედების ნაცვლად

## ნანკინის მთავრობის დეკლარაცია

**შანხაი**, 12 მარტი. ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ბრალს სდებს პუ-ის „უდიდებულესობის შეურაცხყოფაში“ ამიტომ პუ-ისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნას ის კანონი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის დადებას გამცემლობისათვის.

გაზეთების ცნობით, ხელისუფლების ყველა ადგილობრივ წარმომადგენლებს წინადადება მიეცათ სამართალში მისცენ „ჩრდილოეთ ჩინეთში მომუშავე ყველა მოღალატე რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულთა შესახებ გამოცემული კანონის თანახმად“.

ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩინეთი არავითარ შემთხვევაში არ იცნობს ევრეთწოდებულ მანჯუგოს და სთვლის [illegible] ჩინეთის შემადგენელ ნაწილად. რამდენად მანჯურია ოკუპირებულია იაპონიის მიერ, აღნიშნულია განცხადებაში ჩინეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ყოველგვარი პოლიტიკური ცვლილებანი მანჯურიაში ინტენსირებულია იაპონელების მიერ და მთელს პასუხისმგებლობას ამისათვის მათ აკისრებს. შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ ახლა ჩინეთს არ ძალუძს თავისი უფლებების დაცვა და დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა ევრეთწოდებული მანჯუგოს წინააღმდეგ. მაგრამ განზრახვა აქვს გაატაროს „ახალი შემოჭრისათვის წინააღმდეგობის გაწევის“ პოლიტიკა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ბევრი მოითხოვს დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნას ტიკინა სახელმწიფოს წინააღმდეგ და რომ მიუხედავად ამისა, „ტიკინა სახელმწიფო, რომელსაც სათავეში არ უდგას დამოუკიდებელი პირი, არ შეადგენს ჩვენი თავდასხმის ობიექტს“. ის პირები, რომლებიც მუშაობენ მანჯოუგოს სასარგებლოდ, ჰქნილულ უნდა იქნან როგორც მოღალატეები.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს განცხადება ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა სამხრეთ დასავლეთის და სხვა ჯგუფების მოთხოვნების საპასუხოდ. ეს ჯგუფები უკმაყოფილო არიან იმის გამო, რომ ნანკინი პასიურობას იჩენს მანჯურიაში ეიგრარქიის დამყარებისადმი (ადს).

---

დამტკიცებულია ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1934 წ. 1 მარტს

# საკავშირო მიწსახკომის 1934 წლის 10 მარტის დადგენილება

## სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის 1934 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ

1. დაევალოს სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო სამმართველოებს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს ხელშეკრულებების დადება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის დაამთავრონ:

შუა აზიაში, სამხრეთ კაზაკსტანში, ა-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში, ყირიმის ა. ს. ს. რესპუბლიკაში, ჩრდილოეთ-კავკასიის მხარეში, მოლდავიის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკაში, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის ოდესის და დნეპროპეტროვსკის ოლქებში — არა უგვიანეს 20 მარტისა;

ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქში, სარატოვის მხარეში, სტალინგრადის მხარეში, შუა ვოლგის მხარეში, აზოვ-შავი ზღვის მხარეში და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის ხარკოვის, დონეცის, ვინიცის, კიევის და ჩერნიგოვის ოლქებში — არა უგვიანეს 30 მარტისა;

ყველა დანარჩენ მხარესა, ოლქსა და რესპუბლიკაში — არა უგვიანეს 1934 წლის 10 აპრილისა.

დაევალოს სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო სამმართველოებს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს უზრუნველყონ ხელშეკრულებათ კამპანია ხანმოკლე ხელშეკრულების საჭირო რაოდენობის ეგზემპლიარებით, რისთვისაც გამოიყენონ სამხარეო, სარაიონო და პოლიტგანყოფილებათა სტამბები.

2. დაწესდეს 1934 წლისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საგაზაფხულო სატრაქტორო სამუშაოთა შემდეგი გეგმა ხვნაზე გადაყვანით:

საგაზაფხულო სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა ათას ჰექტარობით:

| | |
|---|---|
| ჩრდილოეთის მხარე | 33,9 |
| კარელიის ა.ს.ს. რესპუბლიკა | 5,9 |
| ლენინგრადის ოლქი | 147,0 |
| დასავლეთის ოლქი | 190,1 |
| მოსკოვის ოლქი | 461,3 |
| ივანოვის ოლქი | 128,3 |
| გორკის მხარე | 301,5 |
| ცენტრ შავმიწადგიანი ოლქი | 2.230,9 |
| ჩელიაბინსკის ოლქი | 1.301,8 |
| სვერდლოვსკის ოლქი | 506,5 |
| ობ-ირტიშის ოლქი | 18,8 |
| ბაშკირთა ა.ს.ს. რესპუბლიკა | 350,9 |
| თათართა ა.ს.ს. რესპუბლიკა | 297,4 |
| შუა ვოლგის მხარე | 2.088,2 |
| სარატოვის მხარე | 1.920,0 |
| სტალინგრადის მხარე | 1.188,9 |
| ჩრდ. კავკასიის მხარე | 1.140,0 |
| აზოვ-შავი ზღვის მხარე | 2.620,9 |
| ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკა | 317,2 |
| კაზაკსტანის ა.ს.ს. რესპუბლიკა | 1.356,8 |
| ყარა-კალპაკის ა.ს.ს. რესპუბ. | 24,2 |
| ყირგიზთა ა.ს.ს. რესპუბლიკა | 120,5 |
| დასავლეთ ციმბირის მხარე | 2.412,5 |
| აღმოსავლეთ ციმბირის მხარე | 552,2 |
| იაკუტიის ა. ს. ს. რესპუბლიკა | 8,5 |
| შორეულ აღმოსავლეთის მხარე | 405,2 |
| უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა | 7.842,7 |
| ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკა | 235,6 |
| ა.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკა | 301,5 |
| უზბეკთა ს.ს. რესპუბლიკა | 626,8 |
| თურქმენთა ს.ს. რესპუბლიკა | 119,09 |
| ტაჯიკისტანის ს.ს. რესპუბლიკა | 117,0 |

სულ საბჭოთა კავშირში 29.317,0

საგაზაფხულო სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობაში შედის ყველა საგაზაფხულო სამუშაო, გათავგებული ანეულით.

სატრაქტორო სამუშაოთა ოდენობის დაწესების დროს 1 ჰექტ. დაფარცხვა უდრის 0,15 ჰექტარის მოხვნას, ერთი ჰექტარის გაფხვიერება და კულტივაცია უდრის 0,3 ჰექტარის მოხვნას და ერთი ჰექტარის დათესვა — 0,15 ჰექტარის მოხვნას.

ს.ს.რ. კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი — **ი. იაკოვლევი.**

# ქრონიკა

— **წყალსადენი ფუნიკულიორზე.** დამთავრდა ფუნიკულიორის წყალსადენის მილების შედუღება. ამჟამად მიმდინარეობს ფუნიკულიორის ქვია წყალსაქაჩი სადგურის მოწყობა წყლის გაშვება ფუნიკულიორზე ვათვალისწინებულია 1-ლი მაისიდან.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** 14 მარტს საღამოს 7 ნახ. საათზე შესდგება გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა.

— **განმარტება.** „კომუნისტის“ 12 მარტის ნომერში (№ 60) მოთავსებული წერილი — „12 წელი“ ეკუთვნის ამხ. სილ. თოდრიას და არა ა. თოდრიას, როგორც ეს შეცდომითაა დაბეჭდილი.

# მარგანეცი

## 10 მარტს: ამოღება—89,1%, ჩარეცხვა—78,9%

| | ამოღება (ტონობ.) | | | ჩარეცხვა (ტონობ.) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დავალება | შესრულება | % | დავალება | შესრულება | % |
| სულ | 4.418 | 3.936 | 89,1 | 2.367 | 1.869 | 78,9 |

# ქვანახშირი

## 9 მარტს: ამოღება 98%

| | ამოღება (ტონობით) | | |
|---|---|---|---|
| | დავალება | შესრულება | % |
| სულ | 1.042 | 1.022 | 98 |

# ტფილისი

## სიძველეთა ძეგლების დასაცავად

ტფ. საბჭოსთან არსებულმა სიძველეთა ძეგლების დაცვის კომიტეტმა მოახდინა ტფილისში და მის რაიონში შენარჩუნებული ისტორიული მნიშვნელობის სიძველეების და ხელოვნების ძეგლების აღრიცხვა. გამოირკვა, რომ მარტო ტფილისში არსებობს 63 ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი, ხოლო ტფილისის რაიონში — 25. ძეგლები დანაწილებულია ჯგუფებად — რელიგიური კულტის ძეგლები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი, მხატვრული ღირებულების მქონე ნაგებობები და სხვ.

სიძველეთა ძეგლების თვითეულ ჯგუფს კომიტეტმა მიამაგრა თავის წევრები და დაავალა მათ, რომ უზრუნველყონ ძეგლების დაცვა, მიუჩინონ მათ დარაჯები და შეადგინონ ხარჯთაღრიცხვები უფრო დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების პირველ რიგში შესაკეთებლად.

## თუშური მატყლიდან ძვირფასი ქსოვილები

საფეიქრო წარმოებაში თუშური მატყლი ცნობილია, როგორც მეორეხარისხოვანი კამვოლური ქსოვილების ნედლეული. მაღალხარისხოვანი ქსოვილების დამზადება ამ მატყლიდან არ ხერხდებოდა, რადგან იგი მაგარი და უხეშია, ხოლო მაღალხარისხოვანი ქსოვილისათვის კი საჭიროა რბილი და ელასტიური მატყლი. ასეთ მატყლს იძლევა მერინოსის ჯიშის ცხვარი.

ინჟ. მ. მაღლაკელიძის წინადადებით, ამ ჟამად ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში დაწყებულია ლაბორატორიული ცდები თუშური ჯიშის ცხვრის მატყლის დასარბილებლად. ინჟ. მაღლაკელიძემ გამონახა საშუალება, რომელიც მატყლის ხარისხს აუმჯობესებს, არბილებს ისე, როგორც მერინოსის მატყლი და ამავე დროს არ ახდენს გავლენას დამზადებული ქსოვილის გამძლეობაზე.

თუშური მატყლის დარბილების პირველმა ცდებმა კარგი შედეგი მოგვცა.

## დაიხურა საქ. რემედასის ყრილობა

ყრილობის მესამე სხდომაზე გაიხსნა კამათი რემედასის ცენტრ. კომიტეტის განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გარშემო. რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აღნიშნეს, რომ რაიონული პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციები მათ არ უწევენ საკმაო დახმარებას. პირიქით, რემედასის მუშაკებს ძალიან ხშირად თავისი საქმეებისათვის აგზავნიან სოფლებში და რემედასის ორგანიზაციებს კი მთელი კვირეების განმავლობაში სტოვებენ პასუხისმგებელ მომუშავეების გარეშე. სუსტია რემედასის ცენტრ. კომიტეტთან კავშირიც. ზოგიერთი რაიონები ჩაბმული არიან უცხოეთის ქვეყნების რემედასის ორგანიზაციებთან შეჯიბრებაში, მაგრამ ცენტრალური კომიტეტი ვერ ახერხებს, რომ საქ. რემედასის რაიონულ ორგანიზაციებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელსაც იგი ღებულობს უცხოეთის ქვეყნების რემედასის ორგანიზაციებიდან. ეს გარემოება ანელებს შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ბრძოლის ენტუზიაზმს და იწვევს დასახული გეგმების შეუსრულებლობას.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა სარევიზიო და სამანდატო კომისიების წარმომადგენელთა მოხსენებები იმავე სხდომაზე ყრილობამ აირჩია საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 49 წევრის შემადგენლობით. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. შამშე ლეჟავა. რემედასის ორგანიზაციების საკავშირო ყრილობაზე დასასწრებლად არჩეულ იქნა 8 დელეგატი.

ყრილობის სხდომის დამთავრებისთანავე შესდგა რემედასის ც. კ-ის პლენუმი, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი 13 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმის პას.-მგ მდივნად გამოყოფილია — ამხ. კ. ძოძუაშვილი.

# ტფილისის სახ. უნივერსიტეტში

## მიღების წესები 1934-35 სასწავლო წლისათვის

1. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) ფიზიკურ-მათემატიკურზე (ფიზიკური და მათემატ. გან-ბები),

ბ) საბუნებისმეტყველო (ბიოლოგიური, ქიმიური, გეოგრაფიული და გეოლოგიური განყოფილებები).

გ) ისტორიულ-ლიტერატურულზე (ისტორიული, ფილოსოფიური, ენისა და ლიტერატურის და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეც. განყოფ.).

დ) ეკონომიურზე (თეორიულ პოლიტეკონომიის, სააღრიცხვო, საგეგმო, საფინანსო, სავაჭრო-კოოპერატიული, და ეკონომ. გეოგრაფიის სპეციალობანი).

ე) საბჭოთა აღმშენ. და სამართლისაზე (საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის განყოფილებანი).

2. უნივერსიტეტში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი).

ბ) მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია წერითი და ზეპირი).

გ) ფიზიკაში,

დ) კლასთა ბრძოლის ისტორიაში,

ე) პოლიტეკონომიაში,

ვ) ეკონომიურ პოლიტიკაში,

ზ) ქიმიაში.

შენიშვნა: ისტორიულ ლიტერატურული ფაკულტეტის სპეციალურ რუსული ენის და ლიტერატურის განყოფილებაზე ზემოაღნიშნულ საგნებს გარდა სავალდებულოა რუსული ენისა და ლიტერატურის ჩაბარება.

გამოცდები იწარმოებს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის განსაზღვრულ დამტკიცებულ პროგრამების მიხედვით.

3. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17—32 წლამდე, რომელნიც სარგებლობენ საარჩევნო ხმის უფლებით, რომელთაც დამთავრებული აქვთ: 9 წლედი, 10 წლედი, ტექნიკუმი, მუშფაკი ან აქვთ სხვა მოწმობა საშუალო განათლების დამთავრების შესახებ. (საექსტერნო გამოცდები) და რომელნიც უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი საქიმო კომისიის შემოწმებით ცნობილ იქნებიან სრულიად ჯანსაღად.

შენიშვნა: ტექნიკუმების საქარხნო-საფაბრიკო და განხრიან 10 წლედების კურს დამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ შესრულებული ორი წლის სავალდებულო მუშაობა სპეციალობის მიხედვით და სათანადო სახკომატის ან ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოს ცნობა წარმოებადაწესებულებებში მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ.

4. ის სტუდენტები რომელნიც სწავლობენ უნივერსიტეტში და აკადემიურ შვებულებაში იმყოფებიან, მიიღებიან უგამოცდოთ თავთავიანთ კურსზე სათანადო საბუთების წარმოდგენით.

5. უნივერსიტეტში შემსვლელნი ვალდებულნი არიან შემოიტანონ (პირადათ ან ფოსტით სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის ქ. № 1) განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) დაბადების მოწმობა, ბ) მოწმობა საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ, გ) მოწმობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, დ) მოწმობა როგორც შემსვლელის აგრეთვე მისი მშობლების სოციალურ მდგომარეობის შესახებ, მუშაობის სტაჟის, შრომის ხარისხიანობის შესახებ (დამკვრელი, საზოგადოებრივი მუშაობა და სხვა), ე) ცნობა პარტიულობის შესახებ, პარტსტაჟისა და საწევრო წიგნაკის №-ის აღნიშვნით, ვ) ანკეტა დამოწმებული [illegible] მიერ და ორი ფოტოგრაფიული სურათი.

საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ცალად (დედანი და ერთი სათანადოდ შემოწმებული პირი).

6. განცხადებების მიღება იწარმოებს 10 ივნისიდან 20 ივნისამდე, განცხადებაში შემსვლელმა უნდა აღნიშნოს ფაკულტეტი და განყოფილება, რომელზედაც მას სურს შესვლა.

შენიშვნა: უნივერსიტეტს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით გაანაწილოს შემსვლელები სათანადო ფაკულტეტზე და განყოფილებაზე მათი განცხადების მიუხედავად.

7. განცხადებები მიიღება თავისუფალი წესით მივლინების გარეშე. მისაღებთა ადგილების განსაზღვრული რაოდენობა ეთმობათ მხოლოდ ავტონომიურ რესპუბლიკებს:

ა) აფხაზეთს, (25), ბ) აჭარისტანს (50), გ) სამხრეთ-ოსეთს (10). ნაც. უმცირესობათა რაიონებს და იმ ქართულ რაიონებს, რომლებიც განიცდიან კადრების განსაკუთრებულ ნაკლოვანებას სახელდობრ: ადიგენი—2 ადგ., ახალციხე—3 ადგ., ახალქალაქი—3 ადგ., აღბულაღ-მანგლისი—3 ადგ., ბოგდანოვკა—2 ადგ., ბორჩალო—2 ადგ., ბაშკიჩეთი—3 ადგილი, ბორჯომი—5 ადგ., გარე-კახეთი—5 ადგილი, დუშეთი—7 ადგილი, ერწო-თიანეთი—5 ადგ., ზემო-სვანეთი—5 ადგილი, ლაგოდეხი—3 ადგილი, ლიუქსემბურგი—3 ადგილი, ქვემო-სვანეთი—3 ადგილი, ტოლოში—3 ადგ. ყარაია—2 ადგ., წალკა — 3 ადგ., ხევი—5 ადგილი.

8. მისაღები გამოცდები ჩატარდება 20 ივნისიდან 1 ივლისამდე.

9. მიღებულთა სია გამოკრული იქნება უნივერსიტეტში.

10. უნივერსიტეტში შემსვლელთა მეურნეობის გამოცდებზე სათანადო მომზადებულად გამოცხადების უზრუნველსაყოფად იხსნება საშუალო სასწავლებელ დამთავრებულთათვის 3 თვიანი გადასამზადებელი კურსები შემდეგ რაიონებში.

1. ტფილისში—7 ჯგუფი, 2. ქუთაისში—3 ჯგუფი, 3) თელავში—2 ჯგუფი, 4) ჭიათურაში—1 ჯგუფი, 5) [illegible]ში—2 ჯგუფი და 6) ზუგდიდში—1 ჯგუფი.

შენიშვნა: 1. ტფილისში 3 თვიანი გადასამზადებელი კურსები გახსნილია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკთან რიყის ქ. № 2, სადაც სწარმოებს განცხადებების მიღება, მეცადინეობა დაიწყება ა.-წ. 10 მარტიდან.

2. დანარჩენ ზემოთ დასახელებულ რაიონებში კურსების გახსნის შესახებ, გამოქვეყნებული იქნება ადგილობრივ რაიონულ გაზეთებში.

3. სამთვიანი გადასამზადებელი კურსები ნახევრად სამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი, დანარჩენ ხარჯებს კი იღებს თავის თავზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4. დაწვ[illegible]ლებითი პირობების გაგება შეიძლება კურსების ადმინისტრაციასთან. 3-თვიან გადასამზადებელ კურსებ დამთავრებულები უნივერსიტეტში შესვლისათვის აბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ლ. აღნიაშვილი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ძნელაძის ქ. № 30) 14 მარტს საღამოს 7 საათზე შესდგება პროპაგანდისტთა სემინარი მიმდინარე პოლიტიკის წრეების ხელმძღვანელთათვის თემაზე: „პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ამოცანები“.

15 მარტს საღამოს ხრულ 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგ. ბ-უ[illegible]ის რაიკომის პარტკაბინეტის შენობაში (სადგურის ქუჩა № 14, ოთახი № 4) ამხ. ა. დარახველიძის ხელმძღვანელობით შესდგება გ-უბნის რაიონის ტფილისის პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა. ყველა პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

---


სახ. ოპ. თეატრი

| 14 მარტს 12 ხ. 14 არ. | 15 მარტს 1 ნ. 11 წარ. | 16 მარტს 10 ხ. 14 არ. |
|---|---|---|
| 1. ჯამბაზები 2. დივერტი მენტი | გოფმანის ზღაპრები | ა ლ ი |

1-ლ მარტს დილით ქეთო და კოტე [illegible]

რუსთაველის თეატრი

| [illegible] 4 აბონ. 7 ხარ. | [illegible] 5 აბონ. 7 ხარ | 6 მარტს 8 აბონ. 7 ხარ |
|---|---|---|
| ანზორ | ანზორ | ანზორ |

[illegible]

მარჯანიშვილის თეატრი

| 14 მარტს 3 აბონ. 6 ნახ. | 15 მარტს 4 აბონ. 6 ნარ | 16 მარტს 4 აბონ. 6 ნარ |
|---|---|---|
| ნინოშვილის გურია | ურიელ აკოსტა | ნინოშვილის გურია |

[illegible]

იმპერიალი ხმოვანი დამატებით ტემპი როზა ლუქსემბურგის ხმოვანი სპარტაკი 26 საბ. მეტეორები დაუდგ... როზა ლუქსემბურგის დილით ცანავში

სადღ. ... ხალი ცხოვრებისაკენ · ... შიში · მეორე ცოლი · ... უშკა გოლოვლევი · ... ზელიმ ხანი · ... მამის ძალველი · რემედასი · ვინ არის დამნაშავე? · სანკტ-პეტერბურგის დახ ხრული

საფეიქრო ტრესტის ტფილისის სასწავლო-საწარმოო კომბინატი აცხადებს

# მოწაფეთა მიღებას საფ.-საქ. სკოლაში

1934 სასწავლო წლისათვის სკოლა ამზადებს საფეიქრო მრეწველობისათვის კვალიფიციურ კადრებს შემდეგი პროფილების მიხედვით 1) ქსოვა, 2) დართვა და მაუდის, 3) დამთავრება—კამვოლური.

[illegible]

დირექცია.


ს. ქართველთა წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ 7 მარტის ოქმი № 6 დადგენილებით

# ხდება წითელი ჯვრის ტფილისის კომიტეტის ლიკვიდაცია

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა უნდა მიმართონ სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ამხ. რიხვეიშვილს თავისი პრეტენზიებით (კრილოვის ქ. № [illegible] არა უგვიანეს ა/წ. 17 მარტისა, რის შემდეგ ლიკვიდკომი [illegible] პრეტენზია აღარ მიიღება.

ლიკვიდკომი.

ა.-ქ. საგზაო ინჟინერთა ინსტიტუტი იუწყება, რომ 13 14 და 15 მარტს საღამოს 6 საათზე შესდგება სააიშენებლო ფაკულტეტის სარკინიგზო-სალიანდაგო დარგის სტუდენტების მიერ

# სადიპლომო პროექტების დაცვა

მოწვეულნი არიან სამეცნიერო მუშაკები ინჟინერები ტექნიკოსები, ტფილისის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების სტუდენტები. 1509

თბი. მკურნალოგ. და სამკურნალო კომ. მეტიკა ექიმ ნ. ქარტოზიას თ[illegible] ქ., 9 მიღება [illegible] დღე 12—2 დ საღ. 6—8 საათ. მკურნალობა: თმის, კანის, [illegible] [illegible] 3 1 1.96

ექიმი ვ. ფ. ოთხმეზური ქირურგიული სნეულებანი მიღება საღ. 5—7 საათამდე. მისამართი—გრ. ბოგდოვის ქ. № 19 455

გაუბედურებული ცოლი სათინიკა; შვილები: შალიკო; ემა; მშობლები: ფეფო, იასიმე და მარო, სიძე დიმიტრი ლომსაძე იუწყებიან ძვირფას **ვასო ძაგანიას** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 ნახევარ ს. ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოდან, დაკრძალვა 15 მარტს ს. ტაბახმელაში 1604

ოზურგეთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი იუწყება, რომ 11 მარტს გარდაიცვალა საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი **გერასიმე დიმიტრის ძე ქავთარაძე** დაკრძალვა 15 მარტს 4 საათზე ჯაფარიძის ქ. 12. ქ. ოზურგეთში 1605

გიორგი და ელო გუგუნავები შვილებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ბებიის **ეკა დავითის ასულ ებრალიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს სოფ. ლანჩხუთში. 71

აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის თანამშრომლები: მანჯგალაძე; თოთიბაძე; მატინიანი; მუქერია; მდივანი; წაქაძე; დოლიძე; სიხარულიძე; ჰელიძე; ჩომახიძე; კორძახია; მაღულარია; ჩხენკელი; გაბუნია; ტიტე სიხარულიძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. საშა კეკელიას მისი ძმის **შალიკოს** გარდაცვალების გამო. 1592

პიძაშვილები: გიორგი და დათიკო პაპაშვილები ცოლშვილით; დათიკო და ასა ჩხეიძეები [illegible] გამოსთქვამენ მათთვის დაუვიწყარ მამიდაშვილის **ვასო ალექსის ძე ძაგანიას** გარდაცვალების გამო. 1603

გრიგოლის ასული ავალიშვილისა არჩილი და ბაბო ავალით მანანათი; ნუციკო და რუსუდანი ავალიშვილები და ზინა ბაღვა მწუხარებით იუწყებიან **ეკა ებრალიძის** გარდაცვალებას. 72

„საქტრესტი“-ს 1-ლი ღვინის ქარხნის დირექცია მწუხარებით იუწყება ამავე ქარხნის მუშის არტემ აბაზოვის მამის **ივანე აბაზოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს 6 ს. ხოჯევანქის სასაფლაოზე. გამოსვენება სამოქალაქო ქ. 10 1616

დამწუხრებულნი: და მარო; სიძე სანდრო და მათი ოჯახის წევრები: ლიზა; გრიგოლ; ელენე და ვასო იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ ძმის **გერასიმე დიმიტრის ძე ქავთარაძის** გარდაცვალებას. 1600

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი და მათი სამაგალითო მეგობარი **დავით დიმიტრ.-ძე დავითაშვილი** 15878

სტალინის სახ. კომუნალური მეურნეობის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე დაწესებულების სამაგალითო და ძვირფას ამხანაგის, ბუღალტერ **დავით დიმიტრის ძე დავითაშვილის** გარდაცვალების გამო. გამოსვენება ციმაკურიძის შეს. 8 12 მარტს 5 ს. 1549

ჩინა სილიბისტროს ასული და იასონ ბეჟანის ძე საბატარიშვილები თავიანთი შვილებით ღრმის მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ბიძის **ლასა ოტიას ძე სარჯველაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს ს. ლესაში (გურია). 1613

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: რაჟდენ; ლიდა; აკვილინა; მარია; კალისტინე და ბაბინე აროშიძეები; შვილიშვილი ცაცილია იუწყებიან საყვარელი დედის **ელისაბედ ბიბინეიშვილი-აროშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს სოფ. ქვიანში (გურია). 1614

ლავრენტი ზაქარიას ძე მეუღლით მარიამ, შვილებით: თინა; ქეთო; არკადი ზაქარიას ძე ჩხენკელი შვილით თამარით იუწყებიან უძვირფასესი დედის **ეკატერინე სიმონის ას. ჩხენკელის** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს ს. გამოსვენება 15 მარტს 4 ს. რაფიელის ქ. 1 (ვაკე). 1615

თავზარდაცემული მეუღლე ნადე; შვილები: სამსონი; ვარლამი; ტატიანა; სიძე ილარიონი ხორავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან **კოწია ჯალიჩავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ჩხოროწყუში 13 მარტს. 1611

დამწუხრებული შვილები: ლისა; მატრონა; აგრაფინა; სიძეები: სამსონ კვირკველია. ერმისო ცინცაძე; შვილიშვილებით: იპოლიტე ებრალიძე; ანდრო და გოგუცა კვირკველიები ცოლშვილით იუწყებიან **ეკა დავითის ასულ ებრალიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს ლანჩხუთში. 71

ზუგდიდის აგროტექნიკუმი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგე, ენერგიით სავსე **ტარასი იოსების ძე ლუკავას** უდროოდ დაკარგვით. დაკრძალვა წალენჯიხაში. 1606

დამწუხრებულნი ძმები: ალექსანდრე, რაჟდენ; რძალი შურა, ძმისშვილი კოლია ჭავჭანიძეები; დეიდა იუსტინა, ჯიმადია ალექსი ხაჭაპურიძეები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ **ლიდა ჭავჭანიძე-ბახტაძის** გარდაცვალებას. 1608

ნიკოლოზ ებრალიძე შვილებით: ვალოდია, ლევანი, ვერიკო; სულიკო რძლებით თამარა და მარუსია; შვილიშვილებით: ჯაკუნია; ოთარი, როლანდი მწუხარებას გამოსთქვამენ **აფრასიონ ილარიონის ძე ურატაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ტფილისში 1512

მუდამოდ გულმოკლული ძმა გლახუნ, რძალი ლისა იუწყებიან ერთადერთი იმედის მათთვის საყვარელ და ძვირფას **ლასა ოტიას ძე სარჯველაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს. 3160

გულმოკლული შვილები: ოლინკო; სონია; სიძეები: მიხაკო კუკულაძე; გიორგი ღლონტი შვილებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი მამა **ლასა სარჯველაძე** 1611

უღრმესად დამწუხრებულნი: კარპეზ, ნიკო; გერმანე; იასონ მეუღლით—ფროსია დონაძეები დავსტირით უძვირფასეს და დაუვიწყარ ძმა-მეგობრის **ზერონტი ივანეს ძე დონაძის** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ს. ლიხაურში (ოზურგეთის რ.) 14 მარტს. 1599

ვლადიმერ არდიშვილი, ეკატერინე საყვარელიძე ქმარშვილით და ალექსანდრე არდიშვილი ცოლშვილით იუწყებიან ძვირფას **იაგორ ამბაკოს ძე მახარაძის** გარდაცვალებას. 1610

გაუბედურებული მშობლები: დიმიტრი, კესარია; მეუღლე ვერა; შვილი მიტო: ძმები: ივტიხი; ნიკო; დები: კაკილო; მარია ქავთარაძეები; სიმამრი ეფრემ ლეჟავა-შვილი ოჯახით იუწყებიან **ექ. გერასიმე ქავთარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს ოზურგეთში. 1609

დამწუხრებული მშობლები: დავითი; ნატალია; ძმები: ევტიხი; პეტრე; ლადო რძალი მარო; ძმისშვილები: ნოდარი; დათიკო ლეჟავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ვერა დავითის ასული ლეჟავა** დაკრძალვა 15 მარტს ს. დიდჯიხაიშში. 1612

ზუგდიდის პარტრაიკომის თანამშრომლები: დიანური; სამუშია; ვალოდია ჩარგაზია; ვარლამ წიმინთია; გუგუშა ნორაკიძე მწუხარებას გამოსთქვამენ პარტკაბინეტის გამგის ამხ. **ტარასი იოსების ძე ლუკავას** უდროოდ დაკარგვის გამო. 1606

მეგობრები: ალექსანდრე ჭანტურია; გრიშა კუცია; მიშა რევიშვილი; გოგი ბახტაძე; პორფილე ბირკაია; კირილე კვანტალიანი; კოლია ნადარეიშვილი; ხარიტო ჯანგველაძე; ვალოდია სებელია იუწყებიან **ტიტე თეიმურაზის ძე ჩაგანავას** გარდაცვალებას. 1606

ნიკოლოზ შონია; ილია მარკოზია; ალექსანდრე ხუჭუა; გრიგოლ ვაშაძე, გიორგი კოსტავა; კოლია ჯორჯაძე; მიხეილ ნებიერიძე მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოესი მეგობრის ინჟ. ნიკოლოზ ბეჟანიშვილის მამის **მიხეილ ბეჟანიშვილის** გარდაცვალების გამო. 1589.

ქალ. მეორე საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან ძვირფას ამხანაგის **ვასო ძაგანიას** გარდაცვალებას. გამოსვენება მე-2 საავადმყოფოს პროზექტურიდან დღეს, 14 მარტს, 3 ნახ. საათზე. 1604

ინვალ. კოოპ. არტელ „ჯანმრთელობა“-ს გამგეობა და მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე არტელის გამგეობის წევრ **გერასიმე ნიკოლოზის ძე ახობაძის** უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. კულაშში (სამტრედიის რაიონი). 1601

მეგობრები: ვ. ბრეგვაძე; გ. ხვთისიაშვილი; ს. ბანძლაძე; ვ. ჩიქოვანი; შ. ჩაგუნავა და კ. ბაღდავაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას მეგობარ **გერასიმე ნიკოლოზის ძე ახობაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 1601

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პოლისკა, შვილებით: ილიკო; გრიშა; ნინა; აბიბო, რაჟიკო იუწყებიან **იასონ ოქროპირის ძე ბაზიერიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა კაჭრეთში (ამბრ. რ.) 9 მარტს. 1602

დედა ნინო; ძმები: იორდანე და ვასო; დები: მარო და ლიუდი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ **ზერონტი ივანეს ძე დონაძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მარტს ს. ლიხაურში (გურია) 1599

ფშავლის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომლები კახიძე, მაჩიტაძე ბუჩურიძე და ჩუბინიძე მწუხარებით იუწყებიან მეურნეობის დირექტორის ამხ. ვასო დონაძის ძმის **ზერონტი დონაძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ლიხაურში 14 მარტს (ოზურგ. რ.) 1599

მიშა ვლადიმერის ძე; შალვა კონსტანტინეს ძე ასათიანები ცოლშვილით და ალექსანდრე; ნინა; კატუშა; ნადია; საშა; იულია ასათიანები მწუხარებას გამოვსთქვამთ მიშა ასათიანის შვილის **პატარა ვახტანგის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 1598

თავზარდაცემული მშობლები: ვერა და მიხეილ ასათიანები; ბებია და ბაბუა შვილებით დავსტირით დაუვიწყარ **პატარა ვახტანგს** დაკრძალვა 14 მარტს ვერის სასაფლაოზე გამოსვენება 5 ს. ბროსეს ქ. 11. 1596

დამწუხრებულნი: ბებიები: მაკრინე; ევა; ბიძა დავით გომელაურები; დეიდები: ნინო ქმრით ივანე ეღენტით; თამარი და კლიმენტი შარაბენიძეები შვილებით დავსტირით ჩვენთვის ძვირფას პატარა **ვახტანგ ასათიანის** მოულოდნელად დაკარგვას. 1596

დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო ბესარიონის ასული შვილები: ნატაშა; შალიკო; რძალი ქეთევან; სიძე იულონ ლომაური იუწყებიან საყვარელი **იაგორ ამბაკოს ძე მახარაძის** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 15 მარტს 4 ნახევარ საათზე, ნიკოლაძის ქ. 4. 1595

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქუჩა 68 · მთავლიტის რწმუნებული ა 1593